# ახალი განათლება

www.akhaliganatleba.ge
facebook.com/ Akhali Ganatleba

№16 (930) გამოდის 1998 წლიდან

13-19.05.2021

2

ანა ფირცხალაიშვილი

## ავტორიზაციის მიზნისა და დანიშნულების ახლებური გააზრება

**ინტერვიუ კახაბერ ერაძესთან**

*„სკოლის მენეჯმენტის მთავარი ფუნქცია სხვა არაფერია, თუ არა ყოველდღიური ზრუნვა ხარისხიანი განათლების მიწოდებისთვის. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლის მენეჯმენტის მოდელის ცვლილება სწორედ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ცვლილებაა. ხარისხის უზრუნველყოფის ინსტიტუციური მექანიზმს კი საქართველოში ავტორიზაციას ვუწოდებთ.“*

3

გელა ოდიშელიძე

## თუ სკოლა ბავშვის ინტერესებსა და ცნობისმოყვარეობას აკმაყოფილებს, მიზანიც მიღწეულია

✔ *მნიშვნელოვანია, სკოლის დირექტორს კარგად ესმოდეს სკოლის ძირითადი მისიის შესასრულებლად მისი როლის მნიშვნელობა და ფასი.*

✔ *ჩემი სამშობლოსთვის უფრო მნიშვნელოვანს და საპატიოს ვერაფერს გავაკეთებდი, ვიდრე ასობით თუ ათასობით მოზარდში, სამოქალაქო, მორალური და პატრიოტული ღირებულებების განმტკიცებით, შემეცნებითი, შემოქმედებითი და სოციალური უნარების განვითარებით, გაძლიერებული პიროვნებების და მოქალაქეების მომავლისთვის მომზადებაში აქტიური მხარდაჭერაა.*

4

ლალი ჯელაძე

## დგას თუ არა რუსულენოვანი სკოლების რეფორმირების საჭიროება

**ინტერვიუ შალვა ტაბატაძესთან**

10

ერმალო ლანჩავა, ლია გოგოხია

## რატომ იტყუებიან ბავშვები

**ტყუილი რეალურ და მხატვრულ სამყაროში**






ზალინა ბარიბაშვილი, ორი შვილის დედა პანკისის ხეობიდან:
*რომ გავიგე დუისში ფსიქოლოგი მოდიოდა, სიხარულით მივედი მასთან შესახვედრად. რაიონში სპეციალისტი არ გვყავს, დახმარება თუ დაგვჭირდება, თბილისში გვიწევს წასვლა. ამიტომ დღეს მნიშვნელოვანი დღე გვაქვს დუისელ მშობლებს.*

ზარემა მარბოშვილი, სამი შვილის დედა პანკისის ხეობიდან:
*ჩემი გამოცდილებიდანაც ვიცი და ფსიქოლოგების რეკომენდაციებითაც გავიმყარე ეს აზრი, რომ ჩხუბი და სკანდალი არ არის შვილებთან ეფექტური მიდგომა. მთავარია მათთან დიალოგი, ურთიერთობა. ასე უფრო ადვილად მიიღწევა შედეგი.*

გაეროს ბავშვთა ფონდმა, არასამთავრობო ორგანიზაციასთან „მშობლები განათლებისთვის“ პარტნიორობით და USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით, განახორციელა პროექტი „მშობლობა პანდემიის დროს“. პროექტის მიზანი იყო კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული იზოლაციით გამოწვეული სტრესის შემცირება და მშობლებსა და ბავშვებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება.

ხარისხის განვითარება

# ავტორიზაციის მიზნისა და დანიშნულების ახლებური გააზრება

***მიმდინარე წლის დასაწყისში, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე კახაბერ ერაძე იმ სიახლეების შესახებ გვესაუბრა, რაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებსა და პროფესიულ განათლებაში უნდა განხორციელდეს. აქცენტი საჯარო სკოლებზე გაკეთდა და გადაუდებელ აუცილებლობად მათი ავტორიზაციის საკითხი დასახელდა. გასული ორი თვის განმავლობაში დაინტერესებულ მხარეებთან არაერთი შეხვედრა გაიმართა. ბატონ კახას ვთხოვეთ, უფრო დეტალურად მოეთხრო ჩვენი მკითხველისთვის სკოლების ავტორიზაციასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.***



## სისტემური ცვლილება სკოლებში

2026-27 სასწავლო წლის დასაწყისისთვის ყველა საჯარო სკოლა უნდა ფუნქციონირებდეს ავტორიზებულ რეჟიმში. ასეთია კანონის მოთხოვნა და მისი შესრულება, გარდა იმისა, რომ სავალდებულოა, უზარმაზარი გამოწვევაა არა მხოლოდ ჩვენი ცენტრის, არამედ მთლიანად განათლების სისტემისთვის. ჩვენ წინაშე დგას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების არა მხოლოდ ავტორიზაციის პროცესში ჩართვის, არამედ სისტემური ცვლილების ამოცანა, რომელიც ერთნაირად უნდა შეეხოს საჯარო და კერძო სკოლებს.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით ხშირად გაიგონებთ, რომ ეს არის სკოლის მენეჯმენტის მოდელის ცვლილება. ვგულისხმობთ თუ არა ორ განსხვავებულ რეფორმას, როცა ვსაუბრობთ სკოლის მენეჯმენტის ცვლილებასა და, ზოგადად, ხარისხის უზრუნველყოფის ცვლილებაზე? იმის გათვალისწინებით, რომ სკოლის მენეჯმენტის მთავარი ფუნქცია სხვა არაფერია, თუ არა ყოველდღიური ზრუნვა ხარისხიანი განათლების მიწოდებისთვის, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლის მენეჯმენტის მოდელის ცვლილება სწორედ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ცვლილებაა. ხარისხის უზრუნველყოფის ინსტიტუციურ მექანიზმს კი საქართველოში ავტორიზაციას ვუწოდებთ. ასე რომ, სკოლის მენეჯმენტის მოდელის ცვლილება სხვა არაფერია თუ არა ავტორიზაციის საკითხების ახლებური გააზრება.

ამ ცვლილებას საფუძვლად დაედება რამდენიმე მთავარი პრინციპი, მათ შორის, ახალი თაობის ესგ-ს დანერგვის პროცესისთვის ხელშეწყობა და დანერგვის მასშტაბების გაზრდა. არის ასევე რამდენიმე ფუნდამენტური საკითხი, რომელიც აღნიშნული ცვლილების პროცესში მუდამ მხედველობის არეში გვექნება. პირველი ისევ „ახალი სკოლის მოდელია“ (ანუ მესამე თაობის ესგ), თავისი პროგრესული, რადიკალურად განსხვავებული მიდგომებით, მისაღწევი სასწავლო შედეგების ახლებური გააზრებით. ეს არის ის, რასაც, ალბათ, სისტემის გულშემატკივარი ადამიანები ყოველთვის ელტვოდნენ. დღეს შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ამ ახალი კურიკულუმის დანერგვა, დაწყებით და საბაზო საფეხურებზე საჯარო სკოლებში წარმატებით მიმდინარეობს. ახლა საშუალო საფეხურზე ვსაუბრობთ და სწორედ რომ დროულია (თუ დაგვიანებული არა) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ცვლილებაზე ფიქრი. ეს ორი მნიშვნელოვანი რეფორმა უნდა გავიაზროთ როგორც პარალელური პროცესი, როცა ერთი მეორეს ავსებს და თითქმის შეუძლებელია გამიჯნო, სად იწყება ერთი და სად მთავრდება მეორე. სწორედ აქედან გამომდინარე ვამბობ, რომ ავტორიზაციის პროცესი ეს არის ახალი ეროვნული სასწავლო კურიკულუმის დანერგვისათვის ხელშემწყობი პროცესი და აუცილებელია მისი სინქრონულად წარმართვა სისტემურ დონეზე. სხვა შემთხვევაში, როგორც ნებისმიერი რეფორმა, ისიც წარუმატებლობისთვისაა განწირული.

## ავტორიზაცია – განვითარების მუდმივი პროცესი

წარმატების თავი და თავი ავტორიზაციის, როგორც კონცეფციის ახლებური გააზრებაა. ეს გამოცდილება ჩვენ უკვე გვაქვს პროფესიულ და უმაღლეს განათლებაში. თუმცა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან მიმართებაში მოგვიხდება, პროცესს უფრო მასშტაბურად შევხედოთ, 2300-მდე სკოლას ვგულისხმობ. ავტორიზაცია არ არის ერთჯერადი აქტი (როგორც ამას ზოგიერთი ბენეფიციარი თუ განათლების სპეციალისტი განიხილავს), როცა ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზაციის შესახებ, სკოლა მომდევნო 6 წლის განმავლობაში ინარჩუნებს ამ სტატუსს. ავტორიზაციის მიზნისა და დანიშნულების ახალი გააზრება სულ სხვაგვარია – ეს არის მუდმივი (უწყვეტი) განვითარების პროცესის დასაწყისი. ავტორიზაციის მინიჭებით რაიმე კი არ მთავრდება, არამედ იწყება – ავტორიზაციის შენარჩუნება სერიოზული გამოწვევა იქნება ავტორიზებული დაწესებულებებისთვის.

ავტორიზაცია ჩვენ უნდა გავიგოთ, როგორც შესაბამისობა აუცილებელ სტანდარტებთან, რომ სკოლამ შეძლოს ზოგადი განათლების საფეხურის შესაბამისი განათლების მიწოდება. აქ სკოლის წინაშე დგება სერიოზული ამოცანა, ყოველწლიურად უჩვენოს პროგრესი. სწორედ ამას გულისხმობს სკოლის მენეჯმენტის კონცეპტუალური ცვლილება – ავტორიზებულ სივრცეში შემოსვლისთანავე სკოლა ვალდებულია, განახორციელოს თვითშეფასება სტანდარტებთან მიმართებით და დაგეგმოს განვითარების ღონისძიებები. ეს ყოველწლიური ვალდებულებაა, თუმცა, არც ცენტრი და არც სხვა რომელიმე ორგანო არ ითხოვს სკოლისგან თვითშეფასების დოკუმენტს. ეს არის ორიენტირი სკოლისთვის, რა მიმართულებით სჭირდება მას ინვესტიცია შეზღუდული ფინანსური, მატერიალური თუ ინტელექტუალური რესურსების პირობებში. რაც უფრო რეალისტური იქნება თვითშეფასება, მით უფრო სწორად წარიმართება ძალისხმევა თვითშეფასებით გამოკვეთილი ყველაზე მნიშვნელოვანი შეუსაბამობის დასაძლევად. წლიდან წლამდე, სკოლის თვითშეფასებიდან ნათლად უნდა გამოჩნდეს სკოლის პროგრესი, მისი განვითარების ტენდენცია სხვადასხვა მიმართულებით. ეს არის სკოლის ავტორიზებულ რეჟიმში დარჩენის აუცილებელი პირობა.

## რა ქნან იმ სკოლებმა, რომლებსაც, შესაძლოა, მომავალ სტანდარტებთან სრული შესაბამისობა ჰქონდეთ

დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ სრული შესაბამისობა არ გამორიცხავს სტანდარტის ზემოთ კიდევ უფრო განვითარებას. არასდროს არ უნდა თქვას სკოლის მენეჯმენტმა, რომ ამ ნაწილში განვითარების არანაირი შესაძლებლობა აღარ არის, მაქსიმუმი მიღწეულია. ეს არასწორი მენეჯმენტი და არასწორი ხედვაა, განვითარება არასდროს მთავრდება, ის მუდმივი პროცესია. დაბოლოს, კიდევ ერთხელ ვიტყვი, ავტორიზაცია არ არის ერთჯერადი აქტი ან საბჭოს გადაწყვეტილება – ავტორიზაცია სკოლის შიგნით განვითარების მუდმივი პროცესია.

## ავტონომიურობა, როგორც სკოლის უწყვეტი განვითარების პირობა

მეორე დიდი თემა, რომელიც ასე მნიშვნელოვანია ამ რეფორმაში, სკოლის ავტონომიურობის ხარისხის გაზრდაა. დღეს სკოლებს საკმაოდ ბევრი შემზღუდავი რეგულაციის პირობებში უწევთ მუშაობა. ხშირ შემთხვევაში იმდენად რეგულირებულია ცალკეული სფერო, რომ მენეჯმენტისათვის თავისუფალი სივრცეც აღარ რჩება სკოლის შიგნით. და ეს, რა თქმა უნდა, სისტემის პასუხისმგებლობაა, რადგან სასწავლო დაწესებულების ავტონომიურობის ხარისხი მისი მუდმივი განვითარების აუცილებელი პირობაა. სკოლა უნდა გახდეს პასუხისმგებელი საკუთარ ქმედებებზე, სხვა შემთხვევაში იგი დარჩება უსიტყვო შემსრულებლად და ვერასოდეს შეძლებს საკუთარი ინდივიდუალიზმის წარმოჩენას, რაც, თავის მხრივ ნიშნავს იმას, რომ ზოგადი განათლების ხარისხზე სასაუბროც არაფერი გვექნება. ერთმა ჩემმა კოლეგამ, სკოლების ავტონომიურობის საკითხზე საუბრისას, ბრძანა – მაშინ ფრთას გაშლის სკოლა და სულ სხვა სიმაღლეზე ავაო. დიახ, ასეა, ავტონომიურობა სწორედაც ფრთის გაშლაა სკოლისთვის და ჩვენ ამას ხელი უნდა შევუწყოთ. სასკოლო კურიკულუმი ის სფეროა, სადაც მეტი კრეატიულობის შემოტანა შეიძლება. სასწავლო გეგმისადმი შემოქმედებითი მიდგომა ხომ ბევრ რამეს გულისხმობს, მათ შორის: სწავლებისა და შეფასების ალტერნატიული მეთოდების შემოტანას, საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებას, საავტორო პროგრამების შექმნას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ რეფორმას სულ სხვა დონის რესურსი სჭირდება ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სახით. დღეს ცოტა ადრეა ამაზე საუბარი, მაგრამ, ზოგადად გეტყვით, რომ სწორედ ამ მიზნით, მასშტაბურ ცვლილებებს ვგეგმავთ ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმებში, ეს შეეხება ექსპერტთა კორპუსს, ადამიანებს, რომლებმაც სკოლებში უნდა უზრუნველყონ ხარისხის მუდმივი განვითარება; რესურსცენტრებს, ვგულისხმობ მათი როლისა და დანიშნულების ახლებურ გააზრებას, გარკვეული ფუნქციებით აღჭურვას, რომ რესურსცენტრს რეალურად ედოს ხელი სკოლის პულსზე და საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს სკოლის მოთხოვნის შესაბამისი ინტერვენცია, ან გადაამისამართოს შესაბამის ინსტანციაში. ერთი სიტყვით, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ეს რგოლი უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს საკითხების გადაჭრაში.

## რამდენად არიან სკოლები მზად ავტორიზაციის გასავლელად

ეს შეკითხვა ხშირად ისმის. ჩვენ, ამ ორი თვის განმავლობაში, ძალიან ბევრი საჯარო სკოლის წარმომადგენელს შევხვდით. ამიტომ შემიძლია, დაბეჯითებით გითხრათ, რომ მათი დიდი ნაწილი მზადაა ავტორიზაციის გასავლელად. არც ისაა არავისთვის სასიამოვნო, რომ მუდმივად გადავადებულის სტატუსი ჰქონდეს, მზად არიან მიიღონ შეთავაზებული ახალი რეგულაციები და ჩაერთონ მუდმივი განვითარების პროცესში. მართალია, ამ პროცესის მონაწილეები ისედაც არიან – განათლების სამინისტროს ზოგადი განათლების დეპარტამენტი, მასწავლებლის სახლი, სისტემატურად სთავაზობენ მათ სიახლეებს, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ვგულისხმობ იმას, რომ ჩვენი ცენტრი, ახალი კონცეფციით და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ახლებური გააზრებით, საჯარო სკოლებს სულ სხვა პლატფორმას და სივრცეს შეუქმნის ცვლილებების კომპლექსურად განხილვისა და მიზანმიმართულად გამოყენებისთვის.

ასე რომ, სკოლების მზაობის მხრივ, მჯერა, ყველაფერი რიგზე იქნება, მთავარია, ჩვენ შევძლოთ ჩვენი მოვალეობის სრულფასოვნად და უშეცდომოდ განხორციელება. თქვენ იცით, რამდენად განსხვავებულია ქართული საგანმანათლებლო სპექტრი, თუნდაც ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, მაგრამ, საბედნიეროდ, არიან სკოლები, რომლებიც სწავლების ხარისხით, რეპუტაციით, სკოლის ფილოსოფიის სწორი გააზრებით ნამდვილად არ ჩამოუვარდებიან ოფიციალურად ავტორიზაცია დადასტურებულ სკოლებს. ამიტომაც ვამბობ, სკოლების მზაობის კუთხით, რაიმე შეფერხებას არ ველი, აქ მთავარია მასშტაბები, რომელიც ჩვენი დასაძლევია. სწორედ ამიტომ განისაზღვრა სკოლების ავტორიზაციისთვის, კანონმდებლების მიერ, 6 წელი.

## ავტორიზაციისთვის მზადების პირველი ნაბიჯები

ბუნებრივია, წლების მიხედვით გაწერილია ჩვენი ვალდებულებები. მიმდინარე წელი სამართლებრივი რეგულაციების გამართვას დაეთმობა, რაც უკვე დაწყებულია. გვქონდა შეხვედრები და დეტალური მსჯელობა ავტორიზაციის საბჭოს წევრებთან, კერძო სკოლების წარმომადგენელთა ჯგუფთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან... უმეტეს შემთხვევებში აშკარა იყო შეთავაზებული კონცეფციის სრული გაზიარება, მაგრამ იყო დამატებითი კითხვებიც საჯარო და კერძო სკოლების მხრიდან, რომელთა ნაწილი სცდება ცენტრის კომპეტენციას, მაგრამ ვპირდები მათ, რომ არც ერთი კითხვა არ დარჩება პასუხგაუცემელი და არც ერთი შენიშვნა – განუხილველი.

მიმაჩნია, რომ რეფორმის წარმატება მხოლოდ სრული საზოგადოებრივი კონსესუსის პირობებშია შესაძლებელი, იმიტომ რომ განათლება და აღზრდა ვინმეს კომპეტენცია, საკუთრება ან პრეროგატივა კი არა, მთელი საზოგადოების პასუხისმგებლობაა – როგორიც იქნება ზოგადი განათლება, ისეთი იქნება საზოგადოებაც. და ყველაზე მთავარი, რასაც გავითვალისწინებთ რეფორმის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე, ესაა მოსწავლის საუკეთესო ინტერესები. გადაწყვეტილების მიღებისას, რა თქმა უნდა, გავითვალისწინებთ, რომ იგი დაინტერესებული მხარის უმეტესობისთვის იყოს მისაღები, მაგრამ თუ არჩევანის წინაშე დავდგებით, ეს იქნება გადაწყვეტილება, რომელიც უპასუხებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

მომავალი წელი პილოტირების დასაწყისი და ექსპერტთა ახალი თაობის შერჩევის, მათი ასპარეზზე გამოსვლის წელი იქნება. ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტთა დიდი რაოდენობის მომზადებაც აუცილებელია ასეთ მასშტაბურ საქმესთან შესაჭიდებლად. აქ მნიშვნელოვანი როლი მიენიჭება პროგრამული უზრუნველყოფის საკითხს, განსაკუთრებით კი განათლების მართვის საინფოორმაციო სისტემას. 2023 წლიდან კი, დავიწყებთ სკოლების ეტაპობრივ ჩართვას ავტორიზაციის პროცესში. პირველ ეტაპზე პროცედურას ის სკოლები გაივლიან, რომელთა თვითშეფასება მაღალი დონის შესაბამისობას გვიჩვენებს სტანდარტებთან, უფრო დაბალი შესაბამისობის მქონე სკოლებისთვის კი მთელი 4 წელი გვექნება განვითარებისა და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

მესმის, რომ მიზანი საკმაოდ ამბიციურია, მაგრამ რეალისტურ დროზეა გათვლილი და გააზრებული. რეფორმას ჩვენ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების დეპარტამენტი, მასწავლებლის სახლი, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, რესურსცენტრები ერთიანი ძალისხმევით გავუძლვებით. გვიხარია, რომ სასკოლო საზოგადოებაც იზიარებს ნოვატორულ, პროგრესულ მიდგომებს. ვფიქრობ, სწორედ ასეთ გარდატეხას ელის ზოგად განათლებაში ქართული საზოგადოება, რომლის მოლოდინიც აუცილებლად უნდა გამართლდეს.

ესაუბრა **ანა ფირცხალაიშვილი**

საგანმანათლებლო ლიდერი

# თუ სკოლა ბავშვის ინტერესებსა და ცნობისმოყვარეობას აკმაყოფილებს, მიზანიც მიღწეულია



**გელა ოდიშელიძე**
**სსიპ ქალაქ თბილისის N177 საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ.**

### რას მოითხოვს საზოგადოება სკოლის დირექტორისგან

დღეს, საჯარო სკოლის დირექტორი დატვირთულია უზარმაზარი სამართლებრივი, საგანმანათლებლო, მორალური და სოციალური პასუხისმგებლობით. სამწუხაროდ, მისი ვალდებულებები და უფლებები დაბალანსებული არ არის, რაც სასურველი შედეგების მიღწევას ხშირად ხელს უშლის. მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივად საჯარო სკოლის დირექტორი სკოლის ერთ-ერთი მმართველი რგოლის ხელმძღვანელია და არა ერთადერთის, რეალურად, სახელმწიფოც და საზოგადოებაც პერსონალურად მისგან მოელის და მოითხოვს გარანტიებს.

რეალურად, სკოლის დირექტორს უწევს ორი მიმართულებით გაწიოს ჭაპანი – როგორც საგანმანათლებლო ლიდერმა და როგორც მენეჯერმა. ერთი მეორეს არ გამორიცხავს, თუმცა, მენეჯერის ვალდებულებები, რაც ოპერატიულ საქმიანობას და ბიუროკრატიას უკავშირდება – მოითხოვს სამუშაო დროის დიდ ნაწილს, რისგანაც თავის დაღწევა გამოწვევად რჩება. ამას ემატება ისიც, რომ სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად, დაინტერესებული საზოგადოების უმრავლესობაც, უშუალოდ სკოლის დირექტორისგან ითხოვს პასუხს და რეაგირებას.

ეს მოცემულობა აიხსნება საზოგადოების უმწიფრობით, სამოქალაქო ღირებულებებისა და პასუხისმგებლობის ლაბილურობით. განვითარებად სახელმწიფოში საზოგადოების სიმყიფე ნორმალურია, თუმცა, ჩვენს რეალობაში, დადებითი დინამიკაც სახეზეა! თუ სკოლის დირექტორს კომუნიკაციის კარი ღია აქვს და სასკოლო საზოგადოებას მის უფლებებს და ვალდებულებებს შესაძლებლობად სთავაზობს, მეტი იდეა, ინტერესი, კრიტიკული აზრი და მხარდაჭერა ჩნდება; შესაბამისად, იზრდება კონსოლიდაციისა და თანამშრომლობის ხარისხი; რაც, თავის მხრივ, სკოლის წარმატების საფუძველია. ამ დასკვნამდე, ჩვენი სასკოლო საზოგადოების მრავალწლიანმა წევრობამ მიმიყვანა.

### საგანმანათლებლო ლიდერის აუცილებელი უნარები

დიახ, სკოლის დირექტორი უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ აღიარებული, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე საგანმანათლებლო ლიდერი, ერთგვარი ლოკომოტივი, რომელიც არავისზე ნაკლებს იშრომებს და იქნება კარგი მაგალითი. ეს სათქმელად არის ადვილი, თორემ „წვრილმანებით“ სავსე რეალობაში, პირადი ცხოვრების წესის, ღირებულებებისა და პრინციპების ფორმირებას, შემდეგ კი მუდმივ გენერირებას მოითხოვს.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ დირექტორი სასკოლო საზოგადოების საგანმანათლებლო ლიდერად უნდა ჩამოყალიბდეს, რასაც დრო და ჯანსაღი ურთიერთობები სჭირდება. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება არ არის საწარმო, სადაც კონვეიერული შრომით იქმნება შედეგი, სკოლა ჯანსაღ ადამიანურ ურთიერთობებზე დაფუძნებული საზოგადოებაა, სადაც ნდობას და აღიარებას განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს.

რაც შეეხება სასკოლო საზოგადოების მიერ დირექტორის მიმღებლობას და აღიარებას, დიახ, მას თუ არა აქვს მასწავლებლის კვალიფიკაცია და გამოცდილება, რთულია ადეკვატურად განსაზღვროს, გაიაზროს და იმოქმედოს. გარდა იმისა, რომ დირექტორს უნდა შეეძლოს მასწავლებლის ღვაწლის, შრომის, პრობლემების ხასიათის რეალური აღქმა, მოსწავლეების ინტერესების, მოლოდინების ამოცნობა და მოსწავლეთა მშობლების პარტნიორებად მოაზრება, იმავდროულად, უნდა გამოირჩეოდეს კომუნიკაციის მოქნილი უნარებით, სამართლიანობით, ღირსების პატივისცემით და განსხვავებულის მიმღებლობით.

შესაბამისად, სკოლის დირექტორმა, მისი კომპეტენციით და უნარებით, ეფექტური და ეფექტიანი მენეჯერის ფუნქციების შესრულებაც უნდა შეძლოს და ჩამოყალიბდეს საგანმანათლებლო ლიდერად.

### სკოლის ხარისხის განმსაზღვრელი ინდიკატორები

წარმატებული სკოლის მთავარ ინდიკატორად აღვიქვამ მოცემულობას, როდესაც სასკოლო კულტურა და გარემო ბავშვებს იხმობს, როდესაც მოზარდებს იქ მიეჩქარებათ. ცნობისმოყვარეობა და ინტერესი ბავშვის ბუნებრივი მოთხოვნილებაა და თუ სკოლა ამას უკმაყოფილებს, მიზანიც მიღწეულია! არ არის აუცილებელი, „ცოდნის ძირი მწარე“ იყოს! ცოდნის დაგროვება, უნარების განვითარება, სამოქალაქო და პიროვნული ღირებულებების ფორმირება სასიამოვნო, სახალისო გარემოში მიიღწევა!

მხოლოდ იმ გარემოშია შესაძლებელი მაღალი აკადემიური შედეგების მიღწევა, სადაც მოსწავლის და მასწავლებლის თანამშრომლობა სასიამოვნო პროცესია, სადაც თავისუფლება და წესრიგი ჰარმონიაშია.

სწავლა-სწავლების ხარისხი, გარემოს გარდა, ძირითადად, მასწავლებლის კომპეტენციასა და კეთილსინდისიერებაზეა დაფუძნებული. თუ სკოლის მასწავლებელთა მნიშვნელოვანი უმრავლესობა არ იქნება მოტივირებული და ორიენტირებული თვითგანვითარებისკენ, კომპეტენციის ამაღლებისკენ, მონიტორინგისა თუ შედეგების გაზომვის ვერც ერთი მექანიზმი ვერ იქნება სასურველი შედეგის მომცემი. ამიტომ, მნიშვნელოვანია, სკოლის დირექტორმა, როგორც საგანმანათლებლო ლიდერმა, შეძლოს ისეთი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, სადაც როგორც მოსწავლეებს, ისე მასწავლებლებს და სხვა თანამშრომლებს ექნებათ თვითრეალიზაციის მოტივაცია და შესაძლებლობა.

### სკოლის გავლენა მოზარდის განვითარებაზე

მოზარდის განვითარებაში მოვიაზრებ ცოდნის დაგროვების, უნარების განვითარების, სამოქალაქო და პიროვნული ღირებულებების გათავისების უწყვეტ პროცესს. იმის გათვალისწინებით, რომ ნორმალურ შემთხვევაში, მოზარდი თავისი აქტიური დროის ნახევარს სასკოლო საზოგადოებაში ატარებს, ბუნებრივია, იმ საზოგადოებისთვის დამახასიათებელ კულტურულ ღირებულებებს ითავისებს.

### როგორ უნდა შეიცვალოს თანამედროვე ქართული სკოლა

სკოლა, სასკოლო საზოგადოება, სულ ცოტა, ერთი ნაბიჯით უნდა უსწრებდეს წინ სკოლის მიღმიერ საზოგადოებას. სკოლამ ახალგაზრდები უნდა მოამზადოს მომავლისთვის, ამიტომ თვითონაც მზად უნდა იყოს.

ვფიქრობ, დღევანდელი სკოლის მთავარი გამოწვევა სასკოლო საზოგადოების სამოქალაქო საზოგადოებად ფორმირების პროცესია. მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოებაშია შესაძლებელი, მოზარდებმა გაითავისონ სამოქალაქო და პიროვნული ღირებულებები, შეძლონ განსხვავებულის მიღება და აღიარება, პატივი სცენ ადამიანის ღირსებას, შეძლონ საზოგადოებრივის გათავისება და მასზე ზრუნვა.

მხოლოდ სამოქალაქო ღირებულებებით გაჯერებული მომავალი თაობა შეიძლება გახდეს ჩვენი სახელმწიფოს მრავალმხრივ განვითარების გარანტი, ამის საფუძველი კი სკოლამ უნდა შეუქმნას მოზარდებს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მხოლოდ სკოლების რეალურ გაძლიერებაში ვხედავ ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების აუცილებელ წინაპირობას.

### გუნდური მუშაობა – პიროვნული და პროფესიული განვითარების გასაღები

თანამედროვე სკოლაში თანამშრომლობა და საქმის გუნდურად კეთება წარმატების მიღწევის ერთადერთი ეფექტიანი გზაა როგორც პიროვნულ, ისე ინსტიტუციურ დონეზე. თანამშრომლობასა და საქმის გუნდურად კეთებაში არა მხოლოდ მასწავლებლებს შორის მიმართებას მოვიაზრებ, არამედ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელ ყველა მხარეს შორის. სწორედ ამ პროცესშია პიროვნული და პროფესიული განვითარების გასაღები, ასე აღმოვაჩენთ ჩვენს სუსტ და ძლიერ მხარეებს, ერთმანეთს, ამ პროცესით გავიძლიერებთ თავს და გავაძლიერებთ სხვას.

გუნდური თანამშრომლობის დამკვიდრება შესაძლებელია მხოლოდ იმ საზოგადოებაში, სადაც ჯანსაღი ადამიანური ურთიერთობები ფასობს, სადაც ნდობა, აღიარება და ურთიერთპატივისცემა საზოგადოების ძირითადი მახასიათებელია.

ამ პრინციპის რეალიზებისთვის, ყოველთვის ვცდილობთ ისეთი ფორმალური და არაფორმალური სივრცის თუ გარემოს შექმნის ინიცირებას, რაც მრავალმხრივ კომუნიკაციას და თანამშრომლობას წაახალისებს.

### რა ხელშეწყობა სჭირდება სკოლის დირექტორს

მოიაზრება, რომ სკოლის დირექტორი, საგანმანათლებლო ლიდერი, უნდა იყოს სხვისი მოტივატორი, იდეების გენერატორი, ძლიერი ადამიანი. თუმცა, ძლიერებსაც უჭირთ და სჭირდებათ მხარდაჭერა. ვფიქრობ, სკოლის დირექტორისთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იქნებოდა, თუ სამუშაო პროცესში საზოგადოებისგან წამოსული მეტი ინიციატივა და იდეა შეეხიდება, მათ შორის, მართვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის გაზიარების თვალსაზრისით. აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოსგან მაღალი ხარისხის ნდობის და თავისუფლების მანიშნებელი იმპულსები მუდმივად ჰქონდეს.

### როგორ უნდა შეარჩიოს სკოლამ დირექტორი?

ფუფუნებაა, როდესაც სასკოლო საზოგადოებას აქვს საჯარო სკოლის დირექტორის არჩევის შესაძლებლობა! საქართველოში სკოლის დირექტორის არჩევის მოდელს იდეალურად ჩავთვლიდი, სკოლის სამეურვეო საბჭოები რომ სიცოცხლისუნარიანი მმართველობითი რგოლი იყოს; უფრო ზუსტად, დაკომპლექტებული იყოს კომპეტენტური პერსონებისგან და შემადგენლობა უფრო ფართო წარმომადგენლობას მოიცავდეს.

უნდა ითქვას ისიც, რომ ჩვენს რეალობაში სკოლისთვისაც ფუფუნებაა, თუ მას ხელმძღვანელობს დროში გამოცდილი და აღიარებული საგანმანათლებლო ლიდერი. ასეთ შემთხვევაში, სასკოლო საზოგადოების საქმიანობა დინამიკური და განვითარებადია. შესაბამისად, სკოლის დირექტორის ცვლილება უკეთესი შედეგის მიღების მაქსიმალური დაზღვევით უნდა განხორციელდეს. არ არსებობს გარანტია, რომ ერთ სასკოლო საზოგადოებაში აღიარებული საგანმანათლებლო ლიდერი ნებისმიერ სხვა სასკოლო საზოგადოებაშიც იმავე სტატუსს დაიმკვიდრებს.

✔ მნიშვნელოვანია, სკოლის დირექტორს კარგად ესმოდეს სკოლის ძირითადი მისიის შესასრულებლად მისი როლის მნიშვნელობა და ფასი.

✔ ჩემი სამშობლოსთვის უფრო მნიშვნელოვანს და საპატიოს ვერაფერს გავაკეთებდი, ვიდრე ასობით თუ ათასობით მოზარდში, სამოქალაქო, მორალური და პატრიოტული ღირებულებების განმტკიცებით, შემეცნებითი, შემოქმედებითი და სოციალური უნარების განვითარებით, გაძლიერებული პიროვნებების და მოქალაქეების მომავლისთვის მომზადებაში აქტიური მხარდაჭერაა.

კვლევა

# დგას თუ არა რუსულენოვანი სკოლების რეფორმირების საჭიროება

ლალი ჯელაძე

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრმა საქართველოს რუსულენოვანი სკოლების/სექტორების სასკოლო განათლების ბოლო, დამამთავრებელ კლასში მყოფი მოსწავლეების აღქმა და მოლოდინები გამოიკვლია, გააანალიზა მათი სასკოლო განათლებასთან დამოკიდებულება და სკოლის შემდგომი განათლებისა და საქმიანობის პერსპექტივების ხედვა.

CCIIR-ის კვლევა ჩატარდა „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ (PITA) ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNAG), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით.

მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკური უმცირესობების განათლებისა და მრავალფეროვნების საკითხებზე სხვადასხვა კვლევაში მეტ-ნაკლებად კეთდება აქცენტები, რუსულენოვანი სასკოლო განათლების, როგორც განსხვავებული საგანმანათლებლო ასპექტის, პერსპექტივების შესწავლა დღემდე არ განხორციელებულა. აქედან გამომდინარე, კვლევაში მოცემული მიგნებები ისეთი დასკვნების შესაძლებლობას იძლევა, რომლებიც განათლების პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებას მოითხოვს.

კონკრეტულად რა მოლოდინები აქვთ რუსულენოვანი სკოლებისა და სექტორების მეთორმეტეკლასელებს და სად ხედავენ, სკოლის შემდეგ, საკუთარი განათლების ან საქმიანობის პერსპექტივებს? – ამ თემებზე დეტალურად ისაუბრებს CCIIR-ის ხელმძღვანელი შალვა ტაბატაძე. ინტერვიუში, ასევე, შეიტყობთ კვლევაში მოცემულ მიგნებებსა და რეკომენდაციებს, რომელიც სასურველია, გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა რუსულენოვანი სკოლების რეფორმირების პროცესში გაითვალისწინონ. ვფიქრობთ, კვლევა განათლების საკითხებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისა და აკადემიური სექტორის დიდ ინტერესს გამოიწვევს, რადგან ტენდენციები, რომელიც კვლევამ ასახა, აბსოლუტურად განსხვავებულ რეალობას ქმნის – რუსულენოვანი სკოლები არ უნდა აღიქმებოდეს მილევად რეჟიმში მყოფ სკოლებად. თუ რატომ, ამ კითხვაზე ჩვენი რესპონდენტისგან არგუმენტირებულ პასუხს მიიღებთ.



**– ბატონო შალვა, რა მიგნებები გამოიკვეთა კვლევაში და რეალურად რა მოლოდინები აქვთ რუსულენოვანი სკოლების მეთორმეტეკლასელებს?**

– სხვადასხვა მიმართულებით იყო საინტერესო მიგნებები. ზოგადად, რუსულენოვანი სკოლები განიხილებოდა, როგორც მილევად რეჟიმში მყოფი სკოლები. როცა აქცენტი სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან სკოლებზე კეთდება, რუსულენოვანი ითვლება, რომ მალე დახურვადი სკოლებია. რეალურად კი, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ეს სკოლები საკმაოდ პოპულარულია, მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივად ბევრი არ არის, სულ 11 სკოლა და 47 სექტორია. მოსწავლეთა რაოდენობის თვალსაზრისით, მკვეთრად ნაკლებია სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სკოლებისა და სექტორების მოსწავლეთა საერთო რაოდენობაზე. თუმცა, ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ რუსულენოვანი სკოლის/სექტორის მოსწავლეთა რაოდენობა აჭარბებს, მაგალითად, სომხურენოვანი სკოლების მოსწავლეთა რაოდენობას – 14 ათასზე მეტი მოსწავლეა. ამასთანავე, არც ის ტენდენციაა მართებული, როცა ამ სკოლებზე, როგორც მილევად რეჟიმში მყოფზე, ისე ვსაუბრობთ. ამ შემთხვევაში, სკოლებში, დაწყებით კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა დაბალი უნდა იყოს. რეალურად კი, პირიქით ხდება, დაწყებითი კლასების მოსწავლეთა რაოდენობა საკმაოდ მაღალია. მეტიც, 2019 წელთან შედარებით, მკვეთრადაა გაზრდილი. შესაბამისად, უმჯობესია, იმაზე ვისაუბროთ, რომ ეს სკოლები საჭიროებს რეფორმას (იმიტომ რომ ამოვარდნილი არიან გარკვეული კონტექსტიდან) და არა იმაზე, რომ დღეს არის და ხვალ აღარ იქნება.

ისიც თვალსაჩინოა, რომ ამ სკოლის მოსწავლეებს, იმ ინდიკატორებიდან და ხელშესახები შედეგებიდან გამომდინარე, რაც გაზომვადია, ბევრად უკეთესი შედეგები აქვთ არა მხოლოდ სომხური და აზერბაიჯანულენოვანი სკოლების მოსწავლეებთან შედარებით, არამედ ქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებთან შედარებითაც. მაგალითად, თუ საატესტატო გამოცდების შედეგებს გავაანალიზებთ, ჩაჭრილთა რაოდენობა, საგნების მიხედვით (ყველა საგანში), რუსულენოვან სკოლებში გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულენოვან სკოლებში. ასევე, თუ ავიღებთ მისაღები გამოცდების შედეგებს (ვინც ზოგადი უნარების გამოცდას რუსულ ენაზე აბარებდა), ყველაზე უკეთესი შედეგი სწორედ რუსულენოვან კურსდამთავრებულ აბიტურიენტებს ჰქონდათ.

საერთაშორისო კვლევებს რაც შეეხება, აზერბაიჯანულენოვანი და რუსულენოვანი სკოლები 2015 წლის პიზას კვლევაში პირველად ჩაერთვნენ, შემდეგ – 2018 წლის (ამ შემთხვევაში, სომხურენოვანი მოსწავლეები არ მონაწილეობდნენ). 2015-ში რუსულენოვანი სკოლის მოსწავლეებს მკვეთრად უკეთესი შედეგი აქვთ, ვიდრე აზერბაიჯანულენოვნებს და ზოგიერთ შემთხვევაში – ვიდრე ქართულენოვნებს, ხოლო პიზა 2018-ში მათი შედეგები უკვე ყველაზე მაღალია, ქართულენოვანთან და აზერბაიჯანულენოვანთან შედარებით, სამივე საგანში – ბუნებაში, კითხვასა და მათემატიკაში. პროგრესიც 2015-დან 2018-მდე, ყველაზე მაღალი, მათ აჩვენეს. მაგალითად, თუ პიზა 2018-ში საქართველოს უფრო დაბალი შედეგები ჰქონდა, ვიდრე პიზა 2015-ში, რუსულენოვან სკოლებში პირიქით მოხდა, მკვეთრი ზრდა აჩვენეს. ამ თვალსაზრისითაც საინტერესოა, რომ სწავლების ხარისხი (კიდევ ერთხელ ვიმეორებ, იმ ინდიკატორებიდან და გაზომვის მექანიზმებიდან გამომდინარე), რუსულენოვანი სკოლების/სექტორის მოსწავლეთა შემთხვევაში, გაცილებით უკეთესია, ვიდრე ქართულენოვანი სკოლების. და რაც მთავარია, ეს ყველაფერი იმისდა მიუხედავად, რა პრობლემებიც გვქონდა და გვაქვს ამ სკოლებში – როგორც სასწავლო რესურსების, ისე პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, რუსულენოვანი სკოლის მასწავლებლებს ნაკლები შესაძლებლობები აქვთ და ამ პრობლემებზე თავადაც საუბრობენ. ასეთია ზოგადი სურათი.

კვლევის პროცესში გვაინტერესებდა, ერთი მხრივ, სკოლაში განათლება, მეორე მხრივ კი, ენობრივი კომპეტენციები; ასევე, ინტეგრაციის ხარისხი და ამ მოსწავლეების ეთნიკური და ენობრივი შემადგენლობა, ანუ ვინ სწავლობს რუსულენოვან სკოლებში. როგორც ვიცით, საქართველოში რუსულენოვანი მოსახლეობა დიდი არ არის. საინტერესოა, მაშინ ვინ სწავლობს რუსულენოვან სკოლებში. კვლევის შედეგად, ეთნიკური შემადგენლობის თვალსაზრისით, ასეთი სურათი მივიღეთ: რუსულენოვან სკოლებში ეთნიკურად რუსი მოსწავლე მხოლოდ 3%-ია, ყველაზე მეტია ეთნიკურად სომეხი – 34%, ქართულ-სომხური შერეული ეთნიკური ჯგუფი 15%-მა მიუთითა, ხოლო აზერბაიჯანული ეთნიკური წარმომავლობის მოსწავლე – 18%, ეთნიკური ქართველი – 15%.

თუმცა, ჩვენ არა მხოლოდ ეთნიკური თვალსაზრისით გვქონდა შეკითხვა, არამედ გვინდოდა გაგვერკვია, ვისთვის არის რუსული ენა მშობლიური. მოსწავლეთა 32%-მა დაასახელა, რომ მისთვის რუსული მშობლიური ენაა, ანუ რუსულენოვან სკოლებში, რომელიც რეალურად ორიენტირებულია მშობლიური ენის დაცვა-გაძლიერებაზე, მოსწავლეთა მხოლოდ 32%-ია, ვისთვისაც მშობლიური ენა რუსულია, ხოლო ეთნიკურად რუსი – 3%; დანარჩენი შემდეგნაირად ნაწილდება – მეორე ადგილზეა მოსწავლეთა ის ნაწილი, ვინც მშობლიურ ენად სომხურს ასახელებს, შემდეგ მოსდევს აზერბაიჯანული და ბოლოს ქართული – დაახლოებით 16% ამბობს, რომ მისთვის მშობლიური ენა ქართულია. ეს კვლევა, ამ თვალსაზრისით, ძალიან საინტერესოა, რადგან ეთნიკური შემადგენლობა ისევე, როგორც მშობლიური ენა (ვინ როგორ ასახელებს) შესწავლილი არ იყო და რეალურად არ ვიცოდით ვინ სწავლობდა ამ სკოლებში. აქედან გამომდინარე, გვაინტერესებდა, ასევე, გაგვეგო როგორია მათი ინტეგრაციის ხარისხი, რამდენად ინტეგრირებულად თვლიდნენ თავს საზოგადოებაში. 52% საზოგადოებაში საკუთარი ინტეგრაციის ხარისხს ასახელებს, როგორც დაბალს ან საშუალოს. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი გამოვლინდა (და ეს მოსალოდნელიც იყო) სამცხე-ჯავახეთში, შემდგომ – ქვემო ქართლში. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსწავლეთა ყველაზე დიდი რაოდენობა – 45% კონცენტრირებულია დედაქალაქში, თბილისის სკოლებში სწავლობს, მაგრამ არც მათ აქვთ მაღალი თვითშეფასება, საკუთარი ინტეგრაციის ხარისხს არც თბილისის სკოლების მოსწავლეები არ აფასებენ, როგორც მაღალს.

**– საინტერესოა, როგორ აფასებენ მოსწავლეები საკუთარ ენობრივ კომპეტენციებს?**

– რასაკვირველია, ძალიან მნიშვნელოვანი იყო შეგვესწავლა, თუ როგორ აფასებენ მეთორმეტეკლასელები საკუთარ ენობრივ კომპეტენციებს როგორც მშობლიურ, ასევე მეორე ენაში, რომელიც სწავლების ენაა და, აგრეთვე, უცხო ენაში. ამ თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად მაღალი თვითშეფასება აქვთ, გარკვეული განსხვავება მაინც გამოიკვეთა. მაგალითად, მშობლიურ ენაში ერთმნიშვნელოვნად გამოიკვეთა, რომ მათი თვითშეფასება წერისა და კითხვის მიმართულებით დაბალია – აღიარებენ, რომ წერისა და კითხვის თვალსაზრისით, მშობლიურ ენაში, მათი კომპეტენციები უფრო დაბალია, ვიდრე მოსმენისა და ლაპარაკის კუთხით. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მაღალი თვითშეფასება რუსულში აქვთ, შედარებით დაბალი – ქართული ენის ცოდნასთან დაკავშირებით, ყველაზე დაბალია წერისა და ლაპარაკის მიმართულება, შედარებით მაღალი – მოსმენა და კითხვა, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეებს პროდუცირების უნარები ნაკლებად აქვთ განვითარებული. რაც შეეხება რეგიონებს, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში, ენობრივი კომპეტენციების თვალსაზრისით, მოსწავლეთა თვითშეფასება მკვეთრად დაბალია.

**– უფრო კონკრეტულად, რა გეგმები აქვთ სამომავლოდ მეთორმეტეკლასელებს?**

– 14 ათასი მოსწავლე გვყავს და მათი სასკოლო განათლებისთვის სახელმწიფო გარკვეულ თანხას ხარჯავს. რადგან გავიგეთ, რომ ამ სკოლებში სწავლის ხარისხი საკმაოდ მაღალია, ვეცადეთ გაგვეგო, რამდენად იყენებენ ამ ადამიანურ რესურსს და რამდენად ფასდება ეს კონტინგენტი საქართველოსთვის. საინტერესო სურათი გამოიკვეთა – მეთორმეტეკლასელთა, დაახლოებით, 68% აპირებს სწავლის უმაღლეს სასწავლებელში გაგრძელებას, ხოლო 32%-ს სხვა გეგმები აქვს, მათ შორის, ნაწილი საზღვარგარეთ წასვლას უკავშირდება (68%-დან საკმაოდ დიდ ნაწილს ჰქონდა ასეთი პასუხი). იმ მოსწავლეების 84%, ვინც უმაღლესი განათლების მიღებას აპირებს, ამბობს, რომ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში გააგრძელებს სწავლას, ხოლო 16% – საზღვარგარეთ. განსხვავება გამოიკვეთა რეგიონების მიხედვით: სამცხე-ჯავახეთიდან და აჭარიდან მოსწავლეთა უფრო დიდი ნაწილი სწავლის გაგრძელებას საზღვარგარეთ გეგმავს, დაახლოებით, 43% – სამცხე-ჯავახეთიდან, 34% – აჭარიდან. საერთო ჯამში, სამცხე ჯავახეთიდან სასწავლებლად ან სამუშაოდ წასვლას მეთორმეტეკლასელთა 50%-ზე მეტი გეგმავს. ეს მაჩვენებელი აჭარაშიც მაღალია მაშინ, როდესაც მკვეთრად დაბალია თბილისსა და ქვემო ქართლის მოსწავლეებში – თბილისის რუსულენოვან მოსწავლეთა მხოლოდ 10% ფიქრობს სწავლის გასაგრძელებლად საზღვარგარეთ წავლას,

## კვლევა

ანალოგიური მაჩვენებელია ქვემო ქართლშიც, დაახლოებით, 11%. კვლევიდან შევიტყვეთ, რომ თბილისისა და ქვემო ქართლის რუსულენოვან მოსწავლეთა უმრავლესობა უმაღლეს განათლებას საქართველოში მიიღებს.

დავინტერესდით იმითაც, ის ახალგაზრდები, რომლებიც სწავლას ჩვენს ქვეყანაში გააგრძელებენ, გამოიყენებენ თუ არა კვოტირების სისტემას, რომელიც სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტებისთვის გვაქვს. უმრავლესობა ამბობს, რომ არ აპირებს კვოტირების სისტემის გამოყენებას. ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით დაბალია თბილისში. სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი კი, მიუხედავად იმისა, რომ რუსულენოვან სკოლას ამთავრებს, მაინც აპირებს კვოტირების სისტემის გამოყენებას და გეგმავს, უნარების გამოცდის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ჩაბარებას და 1+4 პროგრამით სარგებლობას. აჭარის, იმერეთის, სამეგრელოს და თბილისის სკოლების მოსწავლეები კი, ჩვეულებრივ გამოცდაზე გასვლას, ყველა საგნის ჩაბარებას და სწავლის ამ გზით გაგრძელებას აპირებენ.

ვეცადეთ გაგვერკვია თუ რა იყო იმ მეთორმეტეკლასელების მოტივაცია, ვინც სწავლის გაგრძელებას საზღვარგარეთ აპირებს, რატომ მიდიან უცხოეთის ქვეყნებში განათლების მისაღებად. გადანაწილება მეტ-ნაკლებად პროპორციული იყო იმ თვალსაზრისით, რომ ნაწილმა მიზეზად დაასახელა ის, რომ მათთვის ჩაბარება უფრო მარტივია და მეტად კონკურენტუნარიანი არიან; საკმაოდ დიდი ნაწილი ამბობს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც სწავლის გაგრძელებას აპირებენ, უმაღლესი განათლების ხარისხი უფრო მაღალია. საინტერესოა, რომ, დაახლოებით, 15% მიიჩნევს, რომ იმ ქვეყანაში, სადაც აპირებენ წასვლას საზოგადოების მიმღებლობა უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში და სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს მათ არჩევანს. სწავლის გასაგრძელებლად, ყველაზე მაღალი პროცენტი ირჩევს სომხეთს, შემდგომ მოდის რუსეთი, შედარებით ნაკლები კი – თურქეთსა და აზერბაიჯანს.

ჩვენ ვკითხეთ: იფიქრებდნენ თუ არა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში სწავლის გაგრძელებას, თუკი რუსულენოვანი სკოლის კუსრდამთავრებულებზეც გავრცელდებოდა კვოტირების სისტემა. მხოლოდ 44%-მა გვიპასუხა უარყოფითად, იმავე რაოდენობის უფროსკლასელი ამბობს, რომ ისარგებლებდა, დანარჩენები გვპასუხობენ, რომ არ იციან ისარგებლებდნენ თუ არა საშეღავათო პოლიტიკით და დარჩებოდა თუ არა საქართველოში სწავლის გასაგრძელებლად. ამ შემთხვევაში, ჩვენთვის ყურადსაღებია ის 44%, რომელიც ამბობს, რომ ამ საშეღავათო პირობებში, ალბათ, გადაწყვეტდნენ უმაღლესი განათლების საქართველოში მიღებას.

**– რას ფიქრობთ, რითია განპირობებული დედაქალაქისა და რეგიონის მოსწავლეებს შორის ასეთი მკვეთრი განსხვავება განათლების საზღვარგარეთ მიღებასთან დაკავშირებით – სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი კომპეტენციით?**

– ცხადია, ეს გადაწყვეტილება კავშირშია ენობრივ კომპეტენციებსა და ინტეგრაციის ხარისხთან. ხშირ შემთხვევაში, საკუთარ მომავალს სხვა სახელმწიფოებს იმის გამო უკავშირებენ, რომ აქ ინტეგრაციის ნაკლებ პერსპექტივას ხედავენ. ამ თვალსაზრისით, ცალსახად ლიდერობს სამცხე-ჯავახეთი, მეტ-ნაკლებად აჭარაშიც არის გარკვეული ტენდენციები. თუმცა, აჭარაში ეს ნაკლებად უკავშირდება ენობრივ კომპეტენციებს, ქართულის როგორც მეორე ენის დაბალი თვითშეფასება იქ ნაკლებია, სამცხე-ჯავახეთისგან განსხვავებით. აჭარაში საკმაოდ დიდია ჩვენს ქვეყანაში სწავლის გაგრძელების მსურველთა რაოდენობა. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ სწავლის საზღვარგარეთ გაგრძელების მიზეზი მხოლოდ ენობრივი კომპეტენციები არ არის. გასაგებია, თუ რატომ არის უფრო მაღალი მაჩვენებელი თბილისში (აქ ენობრივი თვალსაზრისითაც უფრო მაღალი მაჩვენებლებია), მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასება დაბალი აქვთ და ვფიქრობ, ბოლომდე მაინც არ არიან ინტეგრირებულები, მაინც ფიქრობენ, რომ მისაღებ გამოცდებზე კონკურენტუნარიანები არიან და ამიტომაც აბარებენ ყველა საგანს, როგორც დანარჩენი აბიტურიენტები. მიაჩნიათ, რომ შეუძლიათ თანაბარ კონკურენციაში შევიდნენ ქართული სკოლის კურსდამთავრებულებთან, რასაც ვერ ვხედავთ სამცხე-ჯავახეთის მეთორმეტეკლასელებში – ისინი ერთმნიშვნელოვნად ფიქრობენ, რომ ვერ შევლენ კონკურენციაში დანარჩენ აბიტურიენტებთან. ხოლო კვოტირების სისტემა, ერთი მხრივ, მათზე არ ვრცელდება და, მეორე მხრივ, რომც ვრცელდებოდეს, მათივე პასუხებიდან ვიგებთ, რომ მისი გამოყენების სურვილი ნაკლებად აქვთ, რადგან იმ ერთ წელს დაკარგულად მიიჩნევენ.

სომხურენოვანი სკოლების კვლევაც ჩვატარეთ და, ზოგადად, ჯავახეთიდანაც ნაკლებია ახალგაზრდების 1+4 პროგრამაზე მოზიდვა, ვიდრე ქვემო ქართლიდან. მიზეზად ბევრი ფაქტორი დასახელდა, მათ შორს, სიახლოვე-სიშორე თბილისთან და სომხეთთან, ასევე ხარჯი, რომელიც დაკავშირებული იყო დედაქალაქში ცხოვრებასთან. ერევანში ცხოვრება მათთვის ნაკლებ ხარჯებს უკავშირდება, რადგან იქ, უმეტესად, ნათესავებთან ცხოვრობენ და ა.შ. შესაბამისად, არჩევანსაც ამიტომ აკეთებენ სომხეთში განათლების მიღებაზე. იგივე ფაქტორები მოქმედებს რუსულენოვან სკოლებთან დაკავშირებით.

**– დაბოლოს, რა რეკომენდაციებს იძლევა კვლევა რუსულენოვანი სკოლის რეფორმირებისთვის?**

– პირველ რიგში, რუსულენოვანი სკოლები არ უნდა განვიხილოთ, როგორც დახურვადი სკოლები და სექტორები, არამედ, ვიფიქროთ მათ რეფორმირებასა და მულტილინგვურ სკოლებად გადაკეთებაზე, სადაც რუსულენოვანი სწავლებაც იქნება და რუსულენოვანი კომპეტენციებიც განვითარდება. ასევე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, უნდა გავაძლიეროთ სახელმწიფო ენის კომპონენტი, შესაბამისად, ხელი შევუწყოთ ქართული ენობრივი კომპეტენციების მნიშვნელოვნად განვითარებას. თუკი უმცირესობათა ენების დაცულობაზეა საუბარი, მათ მშობლიური ენების სწავლების შესაძლებლობაც მივცეთ. სწორედ ამ კუთხით უნდა ვიფიქროთ. რუსულენოვანი სკოლები, შეიძლება ითქვას, რომ ამოვარდნილია კონტექსტიდან, რადგან ეს არ არის მშობლიური ენის სკოლები, ამიტომ მათი შეცვლა და გაძლიერება უნდა მოხდეს, ენობრივი პოლიტიკის თვალსაზრისით. სასურველია მოდელი, რომელიც განავითარებს მულტილინგვიზმს.

ხშირ შემთხვევაში, მოსწავლეებს, რომლებიც რუსულენოვან სკოლებში მიდიან, რუსული ენის ძალიან დაბალი კომპეტენციები აქვთ ან, ზოგ შემთხვევაში, სულაც არ აქვთ და ისე იღებენ განათლებას რუსულად. ამიტომ, მნიშვნელოვანი იქნება ამ სკოლების მულტილინგვურ სკოლებად რეფორმირება. მეორე საკითხია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შესაძლებლობები და სათანადო სასწავლო რესურსები. სკოლები ამ შესაძლებლობების მიღმა არ უნდა დავტოვოთ, ამ თვალსაზრისითაც მაქსიმალურად უნდა შევუწყოთ ხელი. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ხელშეწყობა არ აქვთ (იმავე რესურსების თარგმნა რუსულ ენაზეც ხორციელდება). თუმცა, იყო გარკვეული პრობლემები სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით. მას შემდგომ, რაც უფასო სახელმძღვანელოების პროგრამა შემოვიდა, არაქართულენოვან სკოლებში ვერ მოხერხდა მეშვიდე-მეთორმეტე კლასების სახელმძღვანელოების თარგმნა. ამის გამო, ძველი სასწავლო გეგმითა და სახელმძღვანელოებით ასწავლიდნენ, რის შესახებაც ისინი ღიად საუბრობდნენ, ჩიოდნენ, რომ ხშირ შემთხვევაში, იძულებული იყვნენ, გამოეყენებინათ სხვა წიგნები, ეფიქრათ და მოეძიებინათ რესურსები. მეორე მხრივ, ასეთ მდგომარეობაში ჩაყენება, მასწავლებლებს უფრო მეტად ხდიდა „იძულებულს", მეტი ეფიქრათ როგორ ესწავლებინათ, მოეძიათ და თავადაც შეექმნათ რესურსები. შესაძლოა, ესეც არის ერთ-ერთი ფაქტორი იმისა, რომ ამ სკოლებში უკეთესი შედეგები გვაქვს.

ასევე, პრობლემა ჩნდება მომავალი მასწავლებლების მომზადების თვალსაზრისითაც. თუკი ჩვენ რუსულენოვან სკოლებს განვიხილავთ, როგორც დახურვის პირას მისულ სკოლებს, ერთ-ერთ პრიორიტეტად უნდა ვაქციოთ ამ სკოლებისთვის მულტილინგვური კადრების მომზადება. საინტეგრაციო პროგრამების მხარდაჭერის აუცილებლობა განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გამოიკვეთა და ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, ზოგადად, სწორედ სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის მოსწავლეებთან მუშაობა იმ კუთხით, რომ საკადრო რესურსი საქართველოში დავტოვოთ და არ მოხდეს მათი გადინება ქვეყნიდან, ჩვენი გაზრდილი საკადრო რესურსი სხვა ქვეყანამ კი არა, ჩვენვე გამოვიყენოთ. მულტილინგვური პროგრამები მათ მეტი არჩევანის შესაძლებლობას მისცემს და მეტად კონკურენტუნარიანებს გახდის მისაღებ გამოცდებზე – ან ყველა საგანში ჩააბარონ გამოცდა, ან კვოტირების სისტემით ისარგებლონ. თუ არჩევანს მაინც საზღვარგარეთ სწავლაზე გააკეთებენ, მაშინ მეტის შეთავაზებაც შეიძლება – კვოტირების სისტემა რუსულ ენაზე გამოცდის ჩამბარებელ აბიტურიენტებზეც გავრცელდეს, ოღონდ ბევრად ნაკლები რაოდენობით და უფრო მკვეთრი მოთხოვნებით. ეს მოთხოვნები და გარკვეული ზღვრის დაწესება აუცილებელია იმისათვის, რომ ქართული სკოლებიდან მოსწავლეების რუსულენოვან სკოლებში გადინება არ მოხდეს. ამიტომაც, კარგი იქნება თუ დაწესდება ზღვარი – საშუალო საფეხური დამთავრებული ჰქონდეს შესაბამის სკოლაში და სექტორზე. ამ შემთხვევაში, ეს სასარგებლო იქნება არა მხოლოდ კომპაქტური დასახლების უმცირესობების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის თვალსაზრისით, არამედ იმ პატარა ეთნიკური ჯგუფებისთვისაც, რომლებიც რუსულენოვან სკოლებში სწავლობენ. სამწუხაროდ, მცირე ეთნიკური ჯგუფების დაცულობის მექანიზმები და განათლების მიღების შესაძლებლობები ჩვენთან ნაკლებია და მნიშვნელოვანი იქნებოდა მათი მხარდაჭერა.

რადგან კომპაქტური განსახლების სომხურ და აზერბაიჯანულენოვნებს კვოტირების სისტემას ვთავაზობთ და დანარჩენებს არა, ეს გარკვეულ უფლებრივ პრობლემებს ქმნის. თუ ამას განათლების უფლების და ამ ღირებულებების ფარგლებში ვაკეთებთ, მაშინ, თავისთავად, ყველასთვის თანაბარი შესაძლებლობა უნდა იყოს. საერთაშორისო ორგანიზაციები ხშირად გვსაყვედურობენ, რომ ჩვენ ამას უსაფრთხოების კონტექსტიდან გამომდინარე ვუყურებთ და არა უფლებების, გარკვეულ პრევენციულ ღონისძიებებს, უსაფრთხოების თვალსაზრისით, სწორედ იმ ჯგუფებზე ვახორციელებთ, სადაც შესაძლო საფრთხეებს ვხედავთ. ამიტომაც, ეს ტენდენცია და მიდგომა განხილულია, როგორც უსაფრთხოების კონცეფციიდან გამომდინარე და არა უფლებრივი.

საჭიროა მიდგომა, რომელიც ყველას განათლების თანაბარ უფლებას მისცემდა. მე ისიც მესმის, თუ რა საფრთხეებს ხედავდნენ ამაში გადაწყვეტილებების მიმღები პირები – ბრალდება პრორუსულობაზე და ა.შ. ამ რისკს რომ ხედავენ, მაქსიმალურად დისტანცირდებიან ხოლმე. ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ რუსულენოვანი სკოლის რეფორმირებასა და განვითარებას არანაირი კავშირი არ აქვს არც საგარეო ორიენტაციასთან და არც პრორუსულობასთან, პირიქით, პროქართულობასთან აქვს კავშირი – როდესაც შენ ახერხებ, რომ შენი სკოლის კურსდამთავრებული რუსეთში კი არ წავიდეს და რუსეთს კი არ ემსახუროს, არამედ ქართულ საზოგადოებაში დარჩეს და ქართული ქვეყნის განვითარებაში შეიტანოს წვლილი. რა ინსტრუმენტით აკეთებ ამას? რუსული ენა არის თუ არა აქ ინსტრუმენტი? შეიძლება იყოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, პრორუსულობას. სამწუხაროდ, რუსულენოვანი სკოლების რეფორმირება და მათზე რესურსის დახარჯვა ხშირად ამ კონტექსტში განიხილება – ვინმემ პრორუსულობა არ დაგაბრალოს. ამიტომ იკავებენ თავს მაშინ, როცა რეალურად აუცილებელია რუსულენოვანი სკოლის რეფორმირება და მულტილინგვურად გადაკეთება. წარმოუდგენელია, ამ შემთხვევაში, არ გქონდეს მყარი არგუმენტი – ეს საზოგადოების ინტეგრაციისკენ მიმართული ნაბიჯია.

## 13 მაისიდან პირველკლასელთა საყოველთაო რეგისტაცია იწყება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო **13 მაისს, 09:00 საათზე,** პირველკლასელთა რეგისტრაციის III ეტაპს იწყებს, რომელიც **5 ივნისს, 18:00 საათზე,** დასრულდება.

რეგისტრაცია განხორციელდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე http://registration.emis.ge და მას ბავშვის მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი უზრუნველყოფს.

ელექტრონულად რეგისტრირებული მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენა **8 ივნისიდან 22 ივნისის ჩათვლით განხორციელდება. დადგენილ ვადებში დოკუმენტაციის წარუდგენლობის შემთხვევაში რეგისტრაცია ავტომატურად გაუქმდება.**

რეგისტრაციის ბოლო IV ეტაპი **24 ივნისიდან 10 ივლისის ჩათვლით** სკოლებში განხორციელდება. ამ ეტაპზე გამოთავისუფლებულ ვაკანტურ ან დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე იმ მოსწავლეების რეგისტრაცია მოხდება, რომლებიც ვერ დარეგისტრირდნენ I, II და III ეტაპებზე, ან სურთ რეგისტრაციის შეცვლა. მოსწავლის რეგისტრაციას ამ ეტაპზე უზრუნველყოფს საჯარო სკოლა მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარდგენილი აუცილებელი დოკუმენტაციის საფუძველზე.

**➯ ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით:**

მშობლებს შეუძლიათ ელექტრონულად გადააგზავნონ განცხადებები თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, ან სკოლის მიერ დადგენილი წესით უსაფრთხოების ნორმების დაცვით, მატერიალურად ჩააბარონ სკოლის ადმინისტრაციას; სკოლა ორი დღის ვადაში დაუდასტურებს მშობელს ელექტრონულ ფოსტაზე განცხადებისა და დოკუმენტაციის მიღებას.

ყველა მოთხოვნილი დოკუმენტის ელექტრონულად წარდგენის შემთხვევაში სკოლა არ მოითხოვს დოკუმენტებს მატერიალური სახით და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში დაადასტურებს მოსწავლის ჩარიცხვას.

*ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა იხელმძღვანელონ, „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 აგვისტოს N675 ბრძანებით და* ***მოსწავლის პირველ კლასში ჩასარიცხად არ მოითხოვონ დამატებით სხვა დოკუმენტები, რაც არ არის განსაზღვრული აღნიშნული ბრძანებით.***

**➯ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირველ კლასში ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა:**

✔ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს კანონიერი წარმომადგენლის საცხოვრებელი ადგილისა და ტელეფონის ნომრის თაობაზე ინფორმაციას;

✔ კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

✔ მოსწავლის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და საქართველოში ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

✔ დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე.



აბიტურიენტთა დასახმარებლად

# როგორ მოვემზადოთ ისტორიის გამოცდისთვის

შევეცდები გესაუბროთ იმ მნიშვნელოვან საკითხებსა და გამოწვევებზე, რომლებიც თან ახლავს ერთიან ეროვნულ გამოცდებს, კონკრეტულად – ისტორიაში. ისტორიის ტესტი მოიცავს როგორც საქართველოს ისტორიის, ისე მსოფლიო ისტორიის საკითხებს, საკმაოდ ვრცელ პერიოდს – უძველესი დროიდან მე-20 საუკუნის ჩათვლით. ტესტი ძალიან მრავალფეროვანია, ამოწმებს როგორც ფაქტობრივი მასალის ცოდნას და მისი გამოყენების უნარს, ასევე ისეთ მაღალ სააზროვნო უნარებს, როგორიცაა: არგუმენტირებული მსჯელობა, კრიტიკული აზროვნება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება ისტორიულ მოვლენებსა და ფაქტებს შორის, შეფასება და სხვ.

ტესტი 8 სხვადასხვა ტიპის დავალებისგან შედგება. დავიწყოთ თანმიმდევრულად:

**პირველი ტიპის დავალება დახურული დავალებაა**. როგორია დავალების ტიპი? მასში მოცემულია შეკითხვა, რომელსაც ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი, რომელიც აბიტურიენტმა პასუხების ფურცელში უნდა დააფიქსიროს. ეს დავალება, ძირითადად, ამოწმებს ფაქტობრივი მასალის ცოდნას და მისი გამოყენების უნარს, მაგრამ არა მარტო, ასევე ამოწმებს ისტორიული მოვლენების ძირითადი, არსებითი მახასიათებლების გამოვლენისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარების უნარებს, ამდენად, შეიძლება საკმაოდ რთულ დავალებადაც ჩავთვალოთ. ტესტში მოცემულია დახურული ტიპის 15 დავალება, რომელიც სხვადასხვა ტიპის უნარებს ამოწმებს.

**მეორე ტიპის დავალება – ქრონოლოგიური პრინციპით დაწყობის დავალება.** ეს ნიშნავს სხვადასხვა ისტორიული მოვლენების ან ისტორიული პიროვნებების გარკვეული ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგებას – უძველესიდან უახლესისაკენ. საერთოდ, ჩვენი ტესტი არასოდეს სვამს კითხვებს თარიღების შესახებ და ჩვენი მიზანი არ არის, აბიტურიენტებს შევუმოწმოთ მეხსიერება, გამოვკითხოთ თარიღები, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, გავარკვიოთ რამდენად შეუძლია მას ისტორიულ დროში ორიენტირება. ქრონოლოგიური პრინციპით დალაგების დავალება სწორედ ამ მიზანს ემსახურება – ვთქვათ, ერთი ისტორიული მოვლენის სამი შემადგენელი ნაწილი იქნება მოცემული, სამი ფაქტი ან სამი მოვლენა, რომელიც აბიტურიენტმა უნდა დაალაგოს უძველესიდან უახლესისაკენ, ანუ მას უნდა ჰქონდეს დროში ორიენტაციის უნარი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ისტორიის დისციპლინისათვის და ამავე დროს, ეს დავალება, რა თქმა უნდა, ფაქტობრივი ცოდნის და მისი გამოყენების უნარსაც ამოწმებს.

**შემდეგი ტიპის დავალება ისტორიულ წყაროებთანაა დაკავშირებული** და უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ტესტში არა ერთი და ორი დავალებაა მოცემული, რომელიც სწორედ ისტორიული წყაროების ანალიზის და ინტერპრეტაციის საშუალებას მისცემს ჩვენს აბიტურიენტებს. კერძოდ, დავალება №19-ში ორი სხვადასხვა ტიპის ისტორიული წყაროა – როგორც ვიზუალური, ისე წერილობითი. ეს ძალიან საინტერესო დავალებაა იმიტომ, რომ ერთდროულად ორი ტიპის წყაროა მოცემული, რომელიც ერთი და იმავე ისტორიულ მოვლენას ასახავს – ერთი ვიზუალური ხასიათისაა, მაგალითად, კონკრეტული ბრძოლის სქემა და მეორეა წერილობითი წყარო, რომელიც ამავე ბრძოლას ასახავს.



კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე.

დავალებას ახლავს ოთხი შეკითხვა, რომელზეც უნდა გასცეს პასუხი აბიტურიენტმა, ორივე წყაროს შეჯერებისა და გაანალიზების საფუძველზე. შესაბამისად, ის კარგად უნდა დააკვირდეს როგორც ბრძოლის სქემას (ამ შემთხვევაში), ყურადღებით წაიკითხოს ნარატიული წყარო და მხოლოდ ამ წყაროების გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე გასცეს პასუხი დასმულ შეკითხვას.

ეს დავალება ამოწმებს წყაროს კითხვის, მისი ინტერპრეტაციის, არსებითი ფაქტორების დაფიქსირების უნარებს და ძალიან საინტერესოა ჩვენთვის, რამდენად აქვს აბიტურიენტს ეს უნარები.

**შემდგომი დავალება ასევე ისტორიულ წყაროს ეხება**, მაგრამ ამ დავალებაში მოცემულია მხოლოდ ერთი ტიპის წყარო – ვიზუალური, მაგალითად, კარიკატურა, ან მონეტა, ან აფიშა ან ნებისმიერი ტიპის ვიზუალური წყარო, რომელიც ისეთივე მეტყველია, როგორც წერილობითი წყარო. ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ სწორედ სხვადასხვა ტიპის წყაროებზე, მით უფრო ვიზუალური ტიპის წყაროებზე იმიტომ, რომ, პრინციპში, სკოლებში ნაკლები ყურადღება ეთმობა ხოლმე ვიზუალური ტიპის წყაროებს და უფრო მეტი – წერილობით წყაროებს, გნებავთ დოკუმენტურს თუ ნარატიულს. ვიზუალური წყაროებიც ძალიან მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროებია და ჩვენი ყურადღების მიღმა რომ არ დარჩეს, დიდ ადგილს ვუთმობთ ჩვენს ტესტში. კონკრეტულ ვიზუალურ წყაროს მოსდევს შეკითხვები, რომელსაც აბიტურიენტმა უნდა გასცეს პასუხი. თუმცა, ეს დავალება, გარდა წყაროს წაკითხვისა და ინტერპრეტაციისა, ცხადია, იმ ეპოქის ცოდნასაც ამოწმებს.

აქ აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ როგორც ეს დავალება, ერთი ვიზუალური წყაროს შესახებ, ასევე, წინა დავალება, რომელიც ორი სხვადასხვა ტიპის წყაროს მოიცავდა, აბიტურიენტისთვის უცნობი იქნება, ის მას პირველად ნახავს, მაგრამ ამ ფაქტმა არ უნდა შეაშინოს, რადგან ისტორიული კონტექსტი, რომელიც აღბეჭდილია ამ წყაროებში, მისთვის კარგად ნაცნობია. ვიმეორებ – წყაროები, რომელიც იქნება მოცემული ტესტში, შესაძლოა იყოს და უმეტეს წილად, უცნობია აბიტურიენტისთვის, მაგრამ ის ისტორიული მოცემულობა და ისტორიული კონტექსტი, რომელიც ასახულია ამ წყაროებში, მისთვის სახელმძღვანელოებიდან კარგად ნაცნობია, ამიტომ ეს ფაქტი ჩვენს აბიტურიენტებს ნუ დააფრთხობთ.

ჩვენ ვეკითხებით, რა არის ამ წყაროს მთავარი სათქმელი, რისი თქმა სურდა ავტორს ამ ვიზუალური წყაროს შექმნისას და რა თქმა უნდა, მან უნდა უპასუხოს ამ კითხვას, წყაროზე კარგად დაკვირვების შედეგად.

**შემდგომი დავალება ასევე ვიზუალურ წყაროს ეხება – ისტორიული რუკის ანალიზი.**




21-ე დავალებაში მოცემულია ამა თუ იმ კონკრეტული ეპოქის ისტორიული რუკა, რომელიც, ასევე, შესაძლოა, არ იყოს ნაცნობი აბიტურიენტისთვის, მაგრამ ის ეპოქა და მოვლენები, რომლებიც, ვთქვათ, რუკის ლეგენდაში იქნება გადმოცემული და რუკაზე ასახული, ძალიან ნაცნობი და ახლობელი იქნება ჩვენი აბიტურიენტებისთვის. ასე რომ, მათ ესეც ნუ დააფრთხობთ. რუკის დავალება 11-ქულიანია, მას 8 შეკითხვა ახლავს და უმეტესი წილი ამ შეკითხვებისა მოდის სწორედ რუკის წაკითხვაზე, რამდენად შეუძლია აპლიკანტს ისტორიული რუკის წაკითხვა, აღქმა, გაგება და ინტერპრეტაცია. ამავე დროს, ისტორიული კონტექსტიდანაც შეიძლება მოუვიდეს კითხვა, რომლის პასუხი რუკაზე შეიძლება ვერ მოიძებნოს, მაგრამ ისტორიული რეალიებიდან გამომდინარე, აბიტურიენტმა იცოდეს იმიტომ, რომ ეს პროგრამითაა განსაზღვრული და რუკის გარეშე შეკითხვებსაც უნდა უპასუხოს.

ორიოდ სიტყვით მინდა ვისაუბრო იმ პრობლემებზე, რომლებსაც ადგილი აქვს ხოლმე სწორედ ისტორიული რუკის დავალებების შესრულების დროს. ხშირად აბიტურიენტები არ კითხულობენ კარგად დავალების პირობას, კარგად არ ეცნობიან ინსტრუქციას და თუ ჩვენ ვთხოვთ, კონკრეტულად ჩამოთვალონ ორი ან სამი სახელმწიფო, რომელიც მდებარეობს, პირობითად, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ისინი პასუხად 5-6 ჩამონათვალს აკეთებენ, არა კონკრეტულად იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც ვეკითხებით (რომლებიც ჯვაროსნული ლაშქრობების შედეგად ჩამოყალიბდა ამ ტერიტორიაზე). სავარაუდოდ, ასე ფიქრობენ – ჩამოვთვლი ყველას, რაც კი რუკაზე წერია და ერთ-ერთი მაინც იქნება სწორი და ჩამეთვლება. ეს მიდგომა, ცხადია, არასწორია, ამგვარად შესრულებული დავალება არ გასწორდება იმიტომ, რომ პასუხი უნდა იყოს ძალიან კონკრეტული და ჩამოთვლილი უნდა იყოს სწორედ ის სახელმწიფოები, რომელსაც ჩვენ ვეკითხებით ამ შეკითხვაში და არა ყველა ის სახელმწიფო, რომელიც მოცემულია რუკაზე. სხვათა შორის, მსგავსი პრობლემები სხვა დავალებაშიც გვხვდება, მაგალითად, ვიზუალური წყაროს ანალიზის შემთხვევაშიც (ამ დავალებას ილუსტრაციის ანალიზსაც ვუწოდებთ).



კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე.

აქაც, მაგალითად, როდესაც ვეკითხებით, რა ტიპის ილუსტრაციასთან გვაქვს საქმე, რა ტიპის წყაროა, რა ჰქვია ამ ტიპის ვიზუალურ წყაროს, ხშირად ურთიერთგამომრიცხავ ჩამონათვალს აკეთებენ, შეიძლება ეწეროს – კარიკატურა, მონეტა, აფიშა... უბრალოდ ჩამოთვლიან აბსოლუტურად ურთიერთგამომრიცხავ პასუხებს იმიტომ, რომ შეიძლება ერთ-ერთი სწორ პასუხს „მოერგოს“. ვიმეორებ, ასეთი შემთხვევები არ გასწორდება, რამდენადაც, ცხადია, ეს არ არის კონკრეტული და დაზუსტებული პასუხი.



**მანანა ჯავახიშვილი**
*შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ისტორიის ჯგუფის ხელმძღვანელი*

**შემდეგი ტიპის დავალება**, 22-ე და 23-ე, ერთი ტიპის დავალებებია, რომელსაც ჰქვია **ისტორიული პრობლემის ანალიზი**. ეს დავალება ძალიან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რამდენადაც ის ორიენტირებულია არგუმენტირებული მსჯელობის შემოწმებაზე. ამ დავალებაში მოცემულია კონკრეტული ისტორიული ვითარება, კონკრეტული მოცემულობა, რომლის სასარგებლოდ გამოთქმულია ურთიერთგამომრიცხავი, ურთიერთსაპირისპირო აზრები, მაგალითად, ვეთანხმები თუ არა ამა თუ იმ ისტორიულ გადაწყვეტილებას ან ვეთანხმები თუ არა ამა თუ იმ ისტორიულ მოწოდებას. აქ აბიტურიენტმა უნდა მოიტანოს არგუმენტები როგორც ერთი პოზიციის სასარგებლოდ, ისე მეორე პოზიციის, ანუ დავალებაში ორი განსხვავებული პოზიციაა დაფიქსირებული, ხოლო არგუმენტების მოყვანა უკვე აბიტურიენტის დავალებაა.

ამ დავალების გასწორების პროცესში გვაქვს ხოლმე პრობლემები, რადგან აბიტურიენტები წერენ ძალიან ზოგადი ხასიათის პასუხებს – ვეთანხმები ამას იმიტომ, რომ ეს იქნებოდა დადებითი ან ეს იქნებოდა უარყოფითი ამა თუ იმ ქვეყნისთვის. ეს იმდენად ზოგადი და არაფრის მთქმელი პასუხია, რომ შეიძლება ნებისმიერ ისტორიულ კონტექსტს მოერგოს, ამიტომ ჩვენი სურვილი იქნება, რომ პასუხი იყოს ძალიან კონკრეტული და ასახავდეს კონკრეტულ ისტორიულ რეალიებს, მაგალითად, დავალება 22 (პრობლემის ანალიზი):

> *1095 წელს ქალაქ კლერმონში რომის პაპმა, ურბან II-მ ევროპელებს აღმოსავლეთში გალაშქრებისა და მუსლიმთაგან მაცხოვრის საფლავის გათავისუფლებისკენ მოუწოდა. ფეოდალთა ერთი ნაწილი ურბან II-ის მოწოდების მომხრე იყო, ხოლო მეორე ნაწილი – მოწინააღმდეგე.*
>
> *მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც პაპის მოწოდების მომხრე თავის პოზიციას დაიცავდა.*
>
> *მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც პაპის მოწოდების მოწინააღმდეგე თავის პოზიციას დაიცავდა.*

ამ დავალებაში საუბარია ჯვაროსნული ლაშქრობის მოწოდებაზე რომის პაპის ურბან II-ის მხრიდან. ის ლაშქრობისაკენ მოუწოდებს ევროპელ ჯვაროსნებს და არსებობს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება – ერთნი ეთანხმებიან ამ მოწოდებას და თვლიან, რომ წმინდა მიწაზე საბრძოლველად უნდა წავიდნენ, უფლის საფლავის გამოსახსნელად, მეორენი პაპის ამ მოწოდებას არ ეთანხმებიან. ზოგადი პასუხები, რომ კარგი იქნებოდა წასვლა ან უარყოფითი იქნებოდა, არ მიიღება. პასუხი უნდა იყოს დასაბუთებული, უნდა ჩანდეს ჯვაროსანთა, როგორც მომხრეთა, არგუმენტაცია, რატომ უნდა გაილაშქრონ, ასევე მოწინააღმდეგეთა, თუ რატომ და რა მიზეზით უნდა შეიკავონ თავი. ეს დავალება არგუმენტირებულ მსჯელობას და ზოგადად ისტორიული მოვლენების შეფასებასაც ამოწმებს, ამავდროულად, ცხადია, ძალიან მნიშვნელოვან უნარებს ავითარებს, კერძოდ – არგუმენტირებული მსჯელობის უნარს.

**შემდეგი ტიპის დავალება არის ისტორიული მოვლენის შეფასება**. ძალიან საინტერესო დავალებაა, აბიტურიენტმა ჯერ ისტორიული მოვლენის კონკრეტული შედეგი უნდა გამოავლინოს, ანუ დაგვიფიქსიროს ამ მოვლენის შედეგი, ხოლო შემდგომ ეს შედეგი უნდა შეაფასოს, მსოფლიო ისტორიისთვის იქნება ეს თუ კონკრეტული სახელმწიფოსთვის, თავად დავალების შინაარსიდან გამომდინარე. ეს დავალება ძალიან მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ჩვენ გვაინტერესებს, რამდენად შეუძლია აბიტურიენტს ისტორიული მოვლენების შეფასება და ზოგადად, არსებითი მახასიათებლის გამოყოფა ამა თუ იმ ისტორიული მოვლენიდან. აქაც, ვიმეორებ, ძალიან ზოგადი ხასიათის პასუხები არის ხოლმე (კარგი იყო, ცუდი იყო, უარყოფითი იყო, დადებითი იყო...). ცხადია, ასეთი პასუხები არ მიიღება. იფიქრეთ, იაზროვნეთ, არ იჩქაროთ – ეს იქნება ჩემი რეკომენდაცია და მხოლოდ განსჯისა და ფიქრის შემდგომ გაეცით ძალიან კონკრეტული პასუხი დასმულ შეკითხვებს.

**და ბოლო, 25-ე დავალება – ისტორიული წყაროს ანალიზი**. აქ უკვე საუბარია წერილობით წყაროზე, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ნარატიული, ისე დოკუმენტური, საკმაოდ ვრცელი წყარო. ეს წყარო იქნება თქვენთვის უცნობი, მაგრამ

## აბიტურიენტთა დასახმარებლად

ვიმეორებ, როგორც ზემოთ აღნიშნული ყველა დანარჩენი წყარო, აქაც, ამ წყაროში მოცემული ისტორიული რეალობა, ისტორიული პერიპეტიები და კონტექსტი თქვენთვის კარგად ნაცნობი იქნება. ამ დავალებაში მოგეთხოვებათ, რომ კარგად გაიგოთ ისტორიული წყაროს შინაარსი, ეს არის ერთგვარი წაკითხულის გააზრება, ოღონდ კონკრეტული ისტორიული წყაროსი, მაგრამ შეკითხვები მხოლოდ წყაროს გაგებაზე არ არის, წყაროს ტექსტის ინტერპრეტაციაზეცაა და ზოგიერთი კითხვა შეიძლება იმ მოვლენების შეფასებას ეხებოდეს, რომელიც ამ წყაროში ასახული არ არის. ეს ვრცელი დავალებაა და მისი მიზანია ისტორიული წყაროს გაგების, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და, ამავე დროს, ისტორიული მოვლენების შეფასების კრიტიკული გააზრების უნარების შემოწმება.

ასეთია მთლიანობაში ჩვენი ტესტის სტრუქტურა. როგორც ხვდებით, ძირითადად, ტესტი აგებულია ისეთ მაღალ სააზროვნო უნარებზე, როგორიცაა: კრიტიკული ანალიზი, მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა სხვადასხვა ისტორიულ მოვლენებსა თუ ფაქტებს შორის – ეს არის შეფასება, ამა თუ იმ ისტორიული მოვლენიდან ძირითადი და არსებითი ნიშნის გამოყოფა, ისტორიულ დროში ორიენტაციის უნარი და ა.შ. ჩვენი ტესტი ბევრად უფრო ნაკლებადაა ორიენტირებული, ვთქვათ, კონკრეტული ფაქტების დამახსოვრებასა და დაზეპირებაზე, უფრო სააზროვნო ტიპის დავალებებია მოცემული.

რაც შეეხება იმას, თუ საიდან უნდა მოემზადოთ და რა რესურსებით იხელმძღვანელოთ ისტორიის ტესტის ჩასაბარებლად მომზადების პერიოდში, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს გრიფირებული სახელმძღვანელოები – მე-11 და მე-12 კლასების ისტორიის სახელმძღვანელოები; მე-11 კლასში, დღეს, ორი გრიფირებული სახელმძღვანელო გვაქვს, ალტერნატიული სახელმძღვანელოები ისევე, როგორც მე-12 კლასში. არა აქვს მნიშვნელობა რომელი სახელმძღვანელოთი სწავლობთ, ორივე გრიფირებული სახელმძღვანელოა და ნებისმიერ შემთხვევაში, მასალა, რომელიც ტესტში იქნება მოცემული, ასახული იქნება როგორც ერთ, ისე მეორე, ალტერნატიულ სახელმძღვანელოში. ასე რომ, ამაზე შეგიძლიათ არ იღელვოთ, რამდენადაც ისტორიის ტესტში მოცემული ფაქტობრივი მასალა სახელმძღვანელოში მოცემულ ინფორმაციას, ფაქტობრივ მასალას არ გასცდება. გარდა ამისა, ცხადია, შეგიძლიათ გაეცნოთ ნებისმიერ ადეკვატურ, გნებავთ ინტერნეტ რესურსებს, გნებავთ სხვა ტიპის ბეჭდურ მასალას, გაიღრმაოთ ცოდნა.

რაც შეეხება, ზოგადად, ტიპურ შეცდომებს, რომლებსაც აბიტურიენტები უშვებენ ტესტირების დროს, ამაზე დეტალურად და ვრცლადაა მოთხრობილი ელექტრონულ კრებულში, რომელიც ყველა საგანში მოამზადა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა და, ცხადია, მათ შორის, ისტორიაშიც. ეს კრებული, გარდა ტიპური შეცდომებისა, ზოგადად გვაძლევს ინფორმაციას საგამოცდო პროგრამაზე, ტესტის სტრუქტურაზე. კრებულში, ასევე, ჩადებულია შარშანდელი ტესტი, თავისი შეფასების სქემითა და პასუხებით და შეგიძლიათ გაეცნოთ, დეტალურად ნახოთ ის ტიპური შეცდომები, რომლებსაც აბიტურიენტები უშვებენ გამოცდებზე. აქვე მინდა აუცილებლად აღვნიშნო, რომ ზემოთ უფრო შინაარსობრივი ხასიათის შეცდომებზე გესაუბრეთ, მაგრამ, ამავე დროს, ხშირია ტექნიკური ხასიათის ხარვეზები, მაგალითად, როდესაც კალიგრაფიაა აბსოლუტურად გაურკვეველი ან ხარვეზებითაა ტესტი შესრულებული, ან არ იკითხება და გამსწორებელს უჭირს შეფასების მიცემა. ამიტომ, დასასრულს, ისევ ვიმეორებ და ვთხოვ ჩვენს აბიტურიენტებს, გაითვალისწინონ ყველა ის რეკომენდაცია, შენიშვნა, ინსტრუქცია, რომელიც მოცემულია ჩვენს ელექტრონულ კრებულში (ასევე ტესტის ინსტრუქციები) და შეეცადონ, ამ რეკომენდაციებზე დაყრდნობით, შეასრულონ ეროვნული გამოცდების ტესტი.

დასასრულს, მინდა, ჩვენს აბიტურიენტებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე წარმატებები ვუსურვო.

## მშობლობა პანდემიის დროს

გაეროს ბავშვთა ფონდმა, არასამთავრობო ორგანიზაციასთან „მშობლები განათლებისთვის“ პარტნიორობით და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, განახორციელა პროექტი „მშობლობა პანდემიის დროს“. პროექტის მიზანი იყო კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებული იზოლაციით გამოწვეული სტრესის შემცირება და მშობლებსა და ბავშვებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება. პროექტის ფარგლებში, მშობლებისათვის ონლაინ ვებინარები გაიმართა, ასევე, გასვლითი შეხვედრები წამყვანი ფსიქოლოგების მონაწილეობით, გავრცელდა კონკრეტული რეკომენდაციები და რჩევები მშობლებისათვის. პროექტის შედეგად 300 000-მა მშობელმა მიიღო ინფორმაცია პოზიტიური მშობლობის შესახებ.

**ზალინა გაორგაშვილი**, ორი შვილის დედა პანკისის ხეობიდან: *„რომ გავიგე დუისში ფსიქოლოგი მოდიოდა, სიხარულით მ?ვედი მასთან შესახვედრად. რაიონში სპეციალისტი არ გვყავს, დახმარება თუ დაგვჭირდება, თბილისში გვიწევს წასვლა. ამიტომ დღეს მნიშვნელოვანი დღე გვაქვს დუისელ მშობლებს. ეს საჩუქარი, რაც გაეროს ბავშვთა ფონდმა და USAID-მა გაგვიკეთა, დიდი შესაძლებლობაა ჩვენთვის. მე ორი პატარა მყავს. უფროსი სამი წლისაა, უმცროსი წლის და ორი თვის. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამ შეხვედრაზე დასწრება, რადგან სხვა მშობლების მსგავსად, მეც მაქვს პატარ-პატარა გამოწვევები. მაგალითად, ჩემი უფროსი შვილი ძალიან ეჭვიანობს უმცროსზე. ის ოჯახში პირველი ბავშვია და მოგეხსენებათ, ეს როგორც ხდება ხოლმე. ეს პრობლემა ალბათ იმანაც გაამწვავა, რომ პანდემიის დროს ბაღი არ მუშაობდა. ჩემი ძალებით ვცდილობდი ამეხსნა, რომ ის მისი ძმაა და უნდა უყვარდეს. ოჯახიც ძალიან მეხმარება. რაც ბაღი გაიხსნა, უფრო მეტ რამეს სწავლობს. მაგრამ მეც რომ მოვისმინე ფსიქოლოგის რეკომენდაციები, ეს ძალიან დამეხმარება. იმედი მაქვს, უფრო გამიადვილდება შვილებთან სწორი მიდგომების დამყარება.“*



**ზარემა მარგოშვილი**, სამი შვილის დედა პანკისის ხეობიდან: *„სამი შვილი მყავს: 6, 5 და 3 წლის. პანდემიის პერიოდში ერთადერთი, რაც გამიჭირდა, დისტანციურ სწავლებაში შვილის თანადგომა იყო. იმედია სკოლები აღარ დაიკეტება. ბაღის ასაკის შვილებს მე თვითონ ვასწავლიდი თამაშით. ადგილზე ფსიქოლოგი არ გვყავს, ამიტომ ინტერნეტში არსებულ რესურსს ვიყენებ. ფეისბუქზე „მშობლები განათლებისთვის“ გვერდი ვნახე, სადაც სპეციალისტების ვიდეო რეკომენდაციები იდებოდა. ცნობილი ფსიქოლოგის, თამარ გაგოშიძის ლექციები იდო და მისი რეკომენდაციების გათვალისწინებით ვცდილობ, ვიყო შვილების მხარდამჭერი დედა. ბავშვებს დროს ვუთმობ, ერთად ვთამაშობთ, ვხატავთ. რაც უნდა საჩქარო საქმე მქონდეს, პირველ ადგილზე ჩემს შვილებს ვაყენებ. ფსიქოლოგის ლექციებიდან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. აქამდე რამეს რომ აშავებდნენ, ვიწყებდი – რატომ გააკეთე ეს?! რატომ გატეხე ეს?! პასუხს ვთხოვდი ყველაფერზე. ახლა ვისწავლე, რომ ატირებული ბავშვი, პირველ რიგში, დავამშვიდო. მესმის მათი წუხილი, საკუთარ მაგალითზე ვასწავლი, რომ შეცდომები ზრდასრულებსაც მოგვდის. მეუბნებიან, რა კარგი ნერვები გაქვს?! საიდან ამდენი ნერვებიო! ჩემი გამოცდილებიდანაც ვიცი და ფსიქოლოგების რეკომენდაციებითაც გავიმყარე ეს აზრი, რომ ჩხუბი და სკანდალი არ არის შვილებთან ეფექტური მიდგომა. მთავარია მათთან დიალოგი, ურთიერთობა. ასე უფრო ადვილად მიიღწევა შედეგი.“*



# სპორტისა და ჯანმრთელობის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად

ვინც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტულ ცხოვრებას ადევნებს თვალს, ალბათ, გაუჩნდებოდა სურვილი, მომავალ მედიკოსთა სამჭედლოს, ჯანსაღი ცხოვრების წესისადმი ერთგულების გათვალისწინებით, აბრევიატურაში სიტყვა „ფიზიკური აქტივობა“ ჩაემატოს.

ეს, ასე ვთქვათ, ნახევრად ხუმრობით, სერიოზულად კი, უკვე მერამდენედ უნდა ითქვას, რომ აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს გაუმართლათ, მათი დატვირთული სასწავლო პროცესის შესამსუბუქებლად და გასახალისებლად თანამოაზრეთა ერთ მუშტად შეკრული გუნდი რომ ზრუნავს: თსსუ-ს რექტორი, პროფესორი **ზურაბ ვადაჭკორია**, ვიცე-რექტორი, პროფესორი **ირაკლი კოხრეიძე**, კანცლერი, პროფესორი **ზურაბ ორჯონიკიძე**, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა ურთიერთობის სამსახურის უფროსი **მიხეილ დეკანოიძე**, სპორტის დეპარტამენტის დირექტორი **ზაურ ფხალაძე**, ამავე სტრუქტურის თანამშრომელი, თსსუ-ს ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე **ვახტანგ ბაქანიძე** და სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი **ანა კაკაბაძე**, რომლის ინიციატივითაც, ახლახან, ტრადიციისამებრს, სპორტის საერთაშორისო დღე აღინიშნა.

აღნიშნულმა ღონისძიებამ, ქვეყანაში შექმნილი ეპიდვითარებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა და კოვიდ პანდემიის შესაბამისი რეკომენდაციების სრული დაცვით ჩაიარა. ქუჩის ფეხბურთი, სამაგიდო თამაშები, მკლავჭიდი, კლდეზე ცოცვა, ქუჩის კალათბურთი – ეს ის სახეობებია, რომელშიც საინტერესო ბრძოლები გაიმართა და ახალგაზრდობას რამდენიმე დღე გაუხალისა.

როგორც კი კორონა ვირუსთან დაკავშირებული შეზღუდვები საშუალებას მისცემთ, თსსუ-ში ადგილობრივი სპორტული ბაზებისა და ინფასტრუქტურის განახლებას აპირებენ.











# ინტეგრირებული კომპლექსური დავალება

„ახალი სკოლის მოდელის“ დადებითი მხარის დანახვა დიდი გამოწვევაა არაჩართული სკოლის მასწავლებლისთვის. დღეს აღნიშნულ საკითხზე უამრავ მასალას შეგიძლია გაეცნო როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზე, ასევე სხვადასხვა სოციალური ქსელით. ჩემ შემთხვევაში კი, „ახალი სკოლის მოდელის“ გამოწვევებით და გეგმებით დაინტერესება ზესტაფონის, ხარაგაულის, თერჯოლისა და ტყიბულის რეგიონის დაწყებითი განათლების ექსპერტის, ნათია ბრეგაძის თაოსნობით მოხდა. არაჩართული სკოლები „ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში, ქალბატონი ნათიას ხელმძღვანელობით, ჩატარებულმა ტრენინგებმა მომცა ბიძგი და გამიღვივა ინტერესი, დამეწყო მუშობა, ჩემს მეორეკლასელებთან ერთად, კომპლექსური დავალების ბარათებზე. თქვენი გაზეთის ფურცლებიდან მადლობას ვუხდი ქალბატონ ნათიას თანამშრომლობისა და კოლეგიალურობისათვის.

მინდა გაგიზიაროთ ჩემი გამოცდილება და გესაუბროთ კომპლექსურ დავალებაზე, რომელიც გეომეტრიული ფიგურების შესწავლის დროს „ჩემს მეორეებს“ მივეცი შესასრულებლად.

იმისათვის, რომ მოსწავლეებისთვის აღნიშნული საკითხი საინტერესო და სახალისო ყოფილიყო, მოვახდინე თემის ინტეგრირება ქართულ ენასა და ლიტერატურაში თემატურად შესასწავლ მოთხრობასთან „მთელი ღამე თოვდა“. ჩემი მიზანი იყო, მოსწავლეებს შეექმნათ, დაეხაზათ, აეწყოთ, გამოეძერწათ გეომეტრიული ფიგურები ზამთარში ტყეში მომხდარ ამბავზე.

ვფიქრობდი, რომ მათემატიკაში შესასწავლი სამიზნე ცნების – გეომეტრიული ობიექტების დახმარებით, მოსწავლეები უკეთ შეძლებდნენ ტექსტის გაგება/ინტერპრეტირებას, ხოლო გეომეტრიული ფიგურების კომპოზიციით ტექსტის ეპიზოდის, პერსონაჟის ქცევის, მოქმედების დროისა და ადგილის გამოსახვა ხელს შეუწყობდა მათემატიკაში შესასწავლი საკითხების (ბრტყელი ფიგურები: წერტილი, მონაკვეთი, ტეხილი, მრუდი წირი, ფიგურის შიდა და გარე არეები, ფიგურის საზღვარი; საერთო საზღვრის მქონე ფიგურები, მათი საერთო გვერდები და წვეროები) განმტკიცებას.

მოთხრობაში მოქმედება ხდება ზამთარში, ტყეში, ნაძვის ხეზე და ხის ფუღუროში, სადაც ციყვი ბუბუ ლექსს წერს. ჩიტმა ნაზიმ, მისი დახმარებით, ფუღუროში გაითბო გაყინული ფეხები და თხილ-კაკლითაც ჩაიტკბარუნა პირი. ბუბუმ ჩიტი ანუგეშა, რომ მთელ ზამთარს მის ღუნღულა კუდში გაატარებდა.

## კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ეტაპები

ბარათზე მუშაობის **პირველი** ეტაპი იყო კომპლექსური დავალებისა და სასწავლო ერთეულის, ამ შემთხვევაში, გეომეტრიული ფიგურების წარდგენა.

### კომპლექსური დავალების პირობა:

***თუ დაუკვირდები, ჩვენ გარშემო ბევრ საგანს გეომეტრიული ფიგურების ფორმა აქვს; მაგალითად, შენს კომპიუტერსა და მშობლის მობილური ტელეფონის ზედაპირს ოთხკუთხედის, რომელთა შიგა და გარე არე განსხვავდება.***

***იცი? შეგიძლია მერი ბოლქვაძის მოთხრობის – ,,მთელი ღამე თოვდა“ მიხედვით, შენთვის სასურველი ეპიზოდი ბრტყელი გეომეტრიული ფიგურების დახმარებით გამოსახო. ფიგურები კი განალაგო სიბრტყეზე სათანადო ადგილას.***

***ვფიქრობ, დავალების შესრულება შენთვის სახალისო და საინტერესო იქნება. წარმატებებს გისურვებ!***

არ მინდოდა მოსწავლეები დათრგუნულიყვნენ იმით, რომ ახალი მასალის შესწავლასთან ერთად, წაკითხული სიუჟეტის გეომეტრიული ფიგურებით გაცოცხლება მოუწევდათ. მაგრამ **მეორე** ეტაპზე, როცა მოსწავლეებმა, წინარე ცოდნის გააქტიურების დროს, აღმოაჩინეს, რომ უკვე შეუძლიათ გარკვეული გეომეტრიული ფიგურებით ცალკეული საგნების დახაზვა, გამოჭრა და აპლიკაციების გაკეთება, სტიმული მივეცი, რომ ახალი ფიგურების შესწავლით გაუადვილდებოდათ წაკითხული ეპიზოდის გამოსახვა.

- მოსწავლეებს შევახსენე პირველ კლასში განხორციელებული პროექტი – „გეომეტრიული ფიგურები“ შესწავლილ ფიგურებზე.
  https://drive.google.com/file/d/1FfZhoJ6R_ZpvJ-wkZr-lAA-ajnDZMH5T/view?usp=sharing
- ვაჩვენე ჩემ მიერ შექმნილი სლაიდი გეომეტრიულ ფიგურებზე
  https://drive.google.com/file/d/0BwYqXDc99FDjUlFjckh2OEZDaDQ/view?usp=sharing
- ხალისით წაიკითხეს მოთხრობა „რობოტი პუერი და ჯორჯი“ და შეასრულეს პრაქტიკული დავალებები https://online.fliphtml5.com/wxkcd/uwop/.





- საინტერესოდ იმსჯელეს დავალებაზე: „აღმოაჩინე გეომეტრიული ფიგურები შენს ჩანთაში“.

ვთვლი, რომ **მესამე** ეტაპზე, კომპლექსური ბარათების მუშაობაზე დაკვირვებასა და განმავითარებელ შეფასებათან ერთად, მოსწავლეთა მოტივაცია აამაღლა ტექნოლოგიების გამოყენებამ სხვადასხვა ონლაინ დაფებით. დისტანციურმა სწავლებამ გვაჩვენა, რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები დაწყებითი საფეხურიდანვე დაეუფლონ ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევებს. ამ თემის განხილვის დროს, ვისარგებლე ონლაინ სწავლების რეჟიმით და, მრავალფეროვანი დაფების (1) გამოყენებით, მოსწავლეები მიზნობრივად წავაქეზე, რათა პრობლემის გადაჭრის სხვა ეტაპზე გადასულიყვნენ.

პრეზენტაციის დროს მოსწავლეებმა წარმოადგინეს სხვადასხვა მასალისა და პროგრამის გამოყენებით დამუშავებული კომპლექსური დავალებები. აღნიშნული პროდუქტით კი შევქმენით ელექტრონული წიგნი.

https://read.bookcreator.com/Jm1dPsn7NyYcUV1FFE1D5VHjJGJ3/jgNdOTpWRsefEKT0mG2snQ

შეჯამების სახით ვიტყვი, რომ აღნიშნულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობით მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას ხელი შეუწყო სამმა ფაქტორმა:

- სხვადასხვა, მრავალფეროვანი გეომეტრიული ფიგურების შემოტანამ;
- ტექნოლოგიების გამოყენებამ;
- მოთხრობის სიუჟეტის გაცოცხლებამ გეომეტრიული ფიგურების გამოყენებით.







**ელისო ჯანელიძე**
*სსიპ დავით კლდიაშვილის სახელობის*
*თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის*
*დაწყებითი კლასების მასწავლებელი*

1. *https://www.mathlearningcenter.org/apps?fbclid=IwAR2zOkvEOv3nn8zT9zWFrYs-hkT6fNqdo5c3F8TyWJSATT0Os6lhR1QQGy8*
*https://idroo.com/dashboard, https://www.twiddla.com/s57d3k*





## პედაგოგთა დასახმარებლად



### სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შაუმიანის №1 საჯარო სკოლის უფროსი მასწავლებლის, არპინე ბადალიანის მიერ ჩატარებული გაკვეთილის გეგმა

| | |
|---|---|
| **Ուսուցիչ՝** Արփինե Բադալյան | |
| **Առարկա՝** Մայրենի | **Դասարան՝** 3-րդ |
| **Դասի թեման՝** „Ասք լավաշի մասին" | **Դասի տևողություն՝** 30 րոպե |

**Աշակերտների թիվը՝** 21
**Սահմանափակ հնարավորություններով աշակերտների թիվը՝** 0

**Դասի նպատակը՝**
➢ Աշակերտները կկարողանան դասի ընթացքում ձեռք բերած գիտելիքների հիման վրա պատրաստել լավաշ, նկարագրել լավաշ պատրաստելու պրոցեսը և ներկայացնել «Ասք լավաշի մասին» ավանդությունը:

**Ազգային ուսումնական պլանի չափորոշիչներ**
*(Ո՞ր արդյունքի/ցուցանիշների վրա են աշխատում)*
**Մայր.III.6.** Աշակերտը կարողանում է գտնել և հասկանալ տեղեկատվությունը տարբեր տեղեկատվական պատկերազարդ տեքստերում (օրինակ՝ մանկական հանրագիտարանում տեղեկատվական տեքստ, պարզ լեզվով գրված բազմաքայլ հրահանգներ, հայտարարություններ և այլն):
**Մայր III.7.** Աշակերտը կարողանում է արտահայտել իր կարծիքը գրական տեքստի նկատմամբ:

**Անհրաժեշտ նախնական գիտելիքները**
*(Ի՞նչ է պետք աշակերտին, որպեսզի կարողանա տիրապետել նոր նյութին)*
Աշակերտները ունեն որոշակի տեղեկատվություն համապատասխան թեմայի վերաբերյալ և կարող են խոսել թեմայի շուրջ:

**Գնահատման ընթացակարգերը**
➢ Զարգացնող գնահատում
Գնահատումը կատարվում է ըստ գնահատման ռուբրիկայի
1. Մեկնաբանություններով
2. Սմայլիկներով:

**Ուսուցման նյութեր և ռեսուրսներ**
*(տեքստ, զննական պարագաներ, համացանցից տեղեկություններ և այլն):*
Ուսումնական ձեռնարկ, թոնիր, լավաշ, խմոր, գրտնակ:

**Ներածություն**
Դասի թեմայի, նպատակի, վարքի կանոնների և գնահատման չափորոշիչների ծանոթացում: (2 րոպե)

**Խթանում** (3 րոպե)
**Ակտիվության նպատակը՝** Նախնական գիտելիքների ստուգում
Ակտիվության նկարագիր: Աշակերտներին առաջադրվում են հարցեր հայկական ազգային հացի՝ լավաշի վերաբերյալ:

**Իմաստի ընկալում**
**Ակտիվություն №1** (5 րոպե)
**Ակտիվության նպատակը՝** Նոր նյութի հաղորդում
**Ակտիվության նկարագիր՝** Խոսում ենք Արամ թագավորի հնարամտության մասին, նշում ենք, թե ինչպես ասորի բանբերներն առանց իմանալու ինն օր շարունակ իրենց բերած լանջապնակներով ամեն օր մի նրբաթերթ հայկական հաց են հասցնում Արամ արքային, քննարկում ենք լավաշ հացի կարևորության մասին:

**Ակտիվություն №2** Տեքստի ընթերցում (5 րոպե)
**Ակտիվության նպատակը՝** կարողանալ սահուն, գրագետ, հասկանալով և առոգանությամբ ընթերցել տեքստը:

**Ակտիվության նկարագիր՝** Աշակերտները կարդում են դասագրքից (էջ 120-121) տեքստը և պատասխանում հարցերին:

**Կշռադատում**

**Ակտիվություն №3** Գործնական մաս (5 րոպե)
**Ակտիվության նպատակ՝** Աշակերտները գործնականորեն կհասկանան լավաշի պատրաստման գործընթացի մասին: \
**Ակտիվության նկարագիրը՝** Աշակերտները դպրոցի բակում նախապես պատրաստած թոնրի և խմորի միջոցով բացատրում են լավաշի պատրաստման գործընթացը:

**Ակտիվություն №4** Տնային աշխատանք (3 րոպե)
**Ակտիվության նպատակը՝** Զարգացնել բնագիրը պատմելու կարողությունը:
**Ակտիվության նկարագիրը՝** «Ասք լավաշի մասին» ավանդությունը սովորել պատմել:
Գնահատում՝ Զարգացնող (2 րոպե)

### ԳՆԱՀԱՏՈՒՄ՝ ԶԱՐԳԱՑՆՈՂ



| Չափանիշներ | Լավ | Միջին | Վատ |
|---|---|---|---|
| Մասնակցություն | Ակտիվ մասնակցում է | Հազվադեպ է մասնակցում | ընդհանրապես չի մասնակցում |
| Համագործակցություն | Համագործակցում է իր ընկերների հետ | Հազվադեպ է համագործակցում | Ընդհանրապես չի լսում և հետևում իր ընկերներին |
| Սեփական կարծիքի հիմնավորում և ներկայացում | Հիմնավորում է սեփական կարծիքը | Հազվադեպ է ներկայացնում | Թեմային վերաբերվող հարցերին կոնկրետ պատասխան չի տալիս |

### ԴԱՍԻ ՎԵՐԼՈՒԾՈՒԹՅՈՒՆ

**Ուսուցիչ՝** Արփինե Բադալյան
**Առարկա՝** Մայրենի
➢ **Ձեռք բերված արդյունք**
2021 թվականի ապրիլի 19-ին Մառնեուլի շրջանի Շահումյան գյուղի № 1 հանրային դպրոցի երրորդ դասարանում անցկացվեց հետաքրքիր դաս „Ասք լավաշի մասին" թեմայով:
**Դասի նպատակն էր՝**
➢ Աշակերտները կկարողանան դասի ընթացքում ձեռք բերած գիտելիքների հիման վրա պատրաստել լավաշ, նկարագրել լավաշ պատրաստելու պրոցեսը և ներկայացնել «Ասք լավաշի մասին» ավանդությունը:
Դասը պլանավորելիս հաշվի են առնվել Առողջապահության նախարարության կողմից սահմանված կանոնակարգերը, աշակերտների տարիքային առանձնահատկություններն ու անհատական ունակությունները, դասի կարիքներն ու հետաքրքրությունները՝ դասընթացը հետաքրքիր և արդյունավետ դարձնելու և դասի նպատակին հասնելու համար:
Դասն անցկացվեց պլանում նախանշված գործընթացներին համապատասխան: Դասը պլանավորվել էր ժամանակակից ուսուցման մեթոդների հիման վրա, որոնք համապատասխանում էին յուրաքանչյուր երեխայի անհատական կարողություններին:
Դասարանը կազմակերպված էր աշակերտների և ուսուցչի կողմից պատրաստված զննական պարագաներով և ուսումնական ռեսուրսներով:
Դասը կազմված էր Մայրենի լեզվի դասավանդման չափորոշիչներին համապատասխան, որն օգնեց աշակերտներին արտահայտել սեփական հմտությունները:
Աշակերտները հաճույքով էին մասնակցում ուսումնական պրոցեսին, հատկապես լավաշ պատրաստելու գործընթացին մեծ ոգևորությամբ էին աշխատում և դասի ավարտին հաճույքով համտեսեցին լավաշը:
Միևնույն դասը կրկին անցկացնելու դեպքում առանձնապես ոչինչ չէի փոփոխի ուղղակի կցանկանայի դասի տևողությունն ավելի երկար լիներ, քանի որ 30 րոպեի ընթացքում կան հետաքրքիր և արդյունավետ ակտիվություններ, որոնք չենք կարողանում հասցնել, իրականացնել:
Առաջիկայում կշարունակեմ իմ մանկավարժական գործունեությունը կիրառելով երրորդ սերնդի ազգային ուսումնական պլանին համապատասխան նորարարական մեթոդներ, ակտիվություններ, որոնք կնպաստեն աշակերտների ուսուցմանն ու դաստիարակությանը:

info www.akhaliganatleba.ge

## ინტელექტუალური თამაშების ციკლი

კომაროვის სკოლაში მოსწავლეების მიერ დაფუძნებული მოაზროვნეთა კლუბის ფარგლებში ინტელექტუალური თამაშების სერია: „რა? სად? როდის?" გაიმართა.

ეს იყო კომაროვის სკოლის პირველი სატელევიზიო ტიპის ინტელექტუალური თამაშების ციკლი. პროექტის ფარგლებში, 7 შეხვედრა ჩატარდა.

დაძაბულ ფინალში **გიორგი კვარაცხელიას** ექვსეულმა გაიმარჯვა, გუნდის წევრები: **ვიტალი გუგუშვილი, თამარ გელაშვილი, თინანო ცხადაძე, მარიამ მჭედლიძე, ნიკა ვარდოშვილი** და **გიორგი კვარაცხელია.**

კლუბის წევრებისა და მონაწილეების მიერ გამოვლინდნენ:

- *ტურნირის საუკეთესო კაპიტანი* – გიორგი კვარაცხელია;
- *საუკეთესო მოაზროვნე* – **ილია ძნელაძე.**

ფინალურ თამაშს ესწრებოდნენ სკოლის კურსდამთავრებულები, საქართველოს ინტელექტკლუბის წევრები – **დავით სიჭინავა, სოსო ბერიკაშვილი** და **დემეტრე ქარდავა.**

იდეის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელია **დაჩი ჩადუნელი**, კლუბის წევრები არიან: ნიკა რუსიშვილი, **დავით სადაღაშვილი, საბა ფირცხალაიშვილი, ირაკლი თეთრუაშვილი, ნინი მანაგაძე, მარიამ ჯაფარიძე, ნატალი გობრონიძე, დიანა ფავლენიშვილი, ლუკა სანაია** და **დემეტრე კანაჩაძე.** მოსწავლეთა განვითარებისა და პროექტების სამსახურის დამსახურებაა, რომ პროექტი მაღალ დონეზე განხორციელდა.

კომაროვის სკოლა ულოცავს გამარჯვებულ გუნდს და წარმატებას უსურვებს პროექტში ჩართულ ყველა მოსწავლეს!



## რატომ იტყუებიან ბავშვები

# ტყუილი რეალურ და მხატვრულ სამყაროში



წირვის შემდეგ მღვდელმა გამოაცხადა: შემდეგ კვირას სიცრუეზე ვისაუბრებთ. უფრო ადვილად რომ შეიმეცნოთ ჩემი ქადაგება, შინ მარკოზის „სახარების“ მეჩვიდმეტე თავი წაიკითხეთო. კვირის თავზე მღვდელმა ქადაგების წინ გამოაცხადა: ვინც მეჩვიდმეტე თავი წაიკითხა, ხელი ასწიოსო. თითქმის ყველამ ასწია ხელი. – სწორედ ამიტომ მინდოდა თქვენთან სიცრუეზე მესაუბრა, – თქვა მღვდელმა, – მარკოზის „სახარებაში“ მეჩვიდმეტე თავი საერთოდ არ არსებობს.

როგორც ვხედავთ, თავად მღვდელსაც კი დასჭირდა ტყუილის თქმა სიმართლის დასადგენად.

რატომ იტყუებიან მოზარდები? რა არის მათი მხრიდან ტყუილის თქმის მოტივი? რა დგას კონკრეტული ტყუილის უკან? ზოგ შემთხვევაში, იოლი მისახვედრია, თუ რას ემსახურება ტყუილი მოცემულ სიტუაციაში, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც სხვებისთვის გაუგებარია, თუ რატომ ამბობს ბავშვი ტყუილს. დიდ როლს თამაშობს ბავშვური ფანტაზია და წარმოსახვა. მათ უჭირთ საკუთარი ფანტაზიის ნაყოფის გამიჯვნა რეალობისაგან. განვითარების კვალდაკვალ, ბავშვი თანდათან უნდა ჩასწვდეს ტყუილისა და სიმართლის ცნებას. ტყუილების უმრავლესობა როგორც ბავშვებში, ისე მოზრდილებში ემსახურება საკუთარი თავისთვის სარგებლობის მოტანის მიზანს, სასურველის მიღწევას ან არასასურველის თავიდან აცილებას (მაგალითად, მოსწავლე მშობელს ატყუებს, რომ გაკვეთილები უკვე იმეცადინა, რათა მიიღოს ნებართვა კომპიუტერზე სათამაშოდ; მოსწავლე იტყუება, რომ თავი სტკივა, რათა თავიდან აიცილოს გაკვეთილებზე ჯდომა; ბავშვი იტყუება, რომ ლარნაკი გატეხა მისმა პატარა დამ, რათა თავიდან აიცილოს დასჯა მშობლის მხრიდან), თუმცა არსებობს ტყუილის სხვა ტიპიც, რომელიც მიმართულია სხვა ადამიანის კეთილდღეობაზე. მაგალითად, ასეთი ტყუილის თქმა არის იმის მცდელობა, რომ თავიდან აიცილოს სხვა ადამიანის გულისტკენა, წყენინება (მაგალითად, ბავშვი მამას ეუბნება, რომ მოეწონა მის მიერ ნაჩუქარი სათამაშო, მიუხედავად იმისა, რომ მას სხვანაირი უნდოდა). მსგავსი კატეგორიის ტყუილები ადრეული ასაკიდან იჩენს თავს და ადამიანი ხშირად იყენებს მთელი ცხოვრების განმავლობაში. ბავშვი არ იბადება მორალური კოდით, მან უნდა აითვისოს სოციალური წესები, რაშიც მთავარ როლს გარემო ასრულებს. შესაბამისად, მშობლებს ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ ბავშვების მხრიდან ტყუილების თქმის მინიმუმამდე დაყვანის მიმართულებითაც. აუცილებლად უნდა დადგინდეს ტყუილის თქმის მოტივი – იმის განსაზღვრა, თუ რას ემსახურება კონკრეტული ტყუილი:

1. სხვის სიამოვნებას, სხვისი წყენინების თავიდან აცილებას;
2. სხვის დაცვას;
3. მისთვის სასურველი რამის მიღებას;
4. ყურადღების მოპოვებას;
5. გარშემომყოფებზე შთაბეჭდილების მოხდენას;
6. პრობლემის მოგვარებას;
7. დასჯის თავიდან აცილებას;
8. კამათის, ჩხუბის, უთანხმოების თავიდან აცილებას;
9. დაბალი თვითშეფასების კომპენსაციას;
10. ძალაუფლების მოპოვებას;
11. რთული დავალების ან არასასურველი რაიმეს თავიდან აცილებას.

როგორ ვიგრძნოთ, რომ გვატყუებენ, თუ დამაჯერებელი მატყუარაა ჩვენ წინ? ალან და ბარბარა პიზები, თავიანთ წიგნში „სხეულის ენა“, ამ საკითხზე საუბრობენ და გვეუბნებიან, რომ შესაძლოა ადამიანმა გააკონტროლოს ჟესტიკულაცია, რომელიც გასცემს მას, თუმცა, ეს საკმაოდ რთულია და მხოლოდ იმ ადამიანებს გამოსდით, რომლებიც დიდი ხნის დახელოვნებულნი არიან ამ საქმეში, მაგალითად, პოლიტიკოსები, ადვოკატები, მსახიობები. ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ მაშინაც კი, როდესაც ვცდილობთ ჟესტები არ გამოვიყენოთ საუბრისას, ჩვენი ორგანიზმი მიკროსიგნალებს გამოსცემს, მაგრამ ამის შემჩნევა ძნელდება, რადგან წამიერად ხდება. ალბათ ფიქრობთ, რომ ადამიანი, რომელიც ნერვიულობს და თვალს ვერ გისწორებთ, ტყუილს ამბობს. თუმცა, ჰარვარდის ბიზნეს სკოლის პროფესორის, ემი კადის აზრით, მატყუარის ამოსაცნობი ერთი კონკრეტული არავერბალური ქცევა არ არსებობს. ფსიქოლოგი მატყუარის ამოცნობის საუკეთესო გზად არა ერთ რომელიმე ქცევაზე, არამედ კომუნიკაციის დროს გამოვლენილ სხვადასხვა სახის შეუსაბამობებზე დაკვირვებას ასახელებს, მათ შორისაა: სახის გამომეტყველება, სხეულის მდგომარეობა და მეტყველება. *„ტყუილის თქმა რთული საქმეა,* – ამბობს კადი, – *ჩვენ ვამბობთ ერთ ამბავს და ვმალავთ მეორეს. ამას ფსიქოლოგიური ფაქტორიც ემატება, რადგან თავს დამნაშავეებად მივიჩნევთ. ჩვენ არ გვაქვს საკმარისი გონებრივი შესაძლებლობა იმისთვის, რომ ყველა ეს ფაქტორი დავმალოთ“.* ფსიქოლოგის აზრით, მატყუარის ამოსაცნობად საუკეთესო გზა მის ნათქვამსა და მოქმედებას შორის არსებულ განსხვავებაზე დაკვირვებაა. აღელვებული სახით, მაგრამ მხიარული ხმის ტონით საუბარი ემოციების კონფლიქტის კარგი მაგალითია. სამწუხაროდ, ადამიანებს ძალიან უჭირთ ტყუილის ამოცნობა. ისინი, დაკვირვების შედეგად, მატყუარას ოდნავ უკეთესად აიდენტიფიცირებენ, ვიდრე ის, ვინც უბრალოდ ხვდება, რომ ატყუებენ. მთავარი პრობლემა ისაა, რომ ჩვენ უფრო მეტად ადამიანის საუბარს ვაქცევთ ყურადღებას და არა მის ქმედებებს. ემი კადი ჰარვარდის ფსიქოლოგის, ნენსი ეთქოფის კვლევას ციტირებს და ამბობს, რომ ადამიანებს, რომლებსაც ენის აღქმის უნარის დარღვევა აწუხებთ, უფრო კარგად შეუძლიათ მატყუარის ამოცნობა, ვიდრე მათ, ვისაც დარღვევა არ აღენიშნებათ: *„როდესაც ჩვენ შეგნებულად ვეძებთ ტყუილის ან სიმართლის გამომხატველ ნიშნებს, მეტ ყურადღებას ადამიანის საუბარს ვაქცევთ და არა არავერბალურ ქცევებს,* – აცხადებს კადი, – *სიმართლე ქმედებებით უფრო ვლინდება, ვიდრე სიტყვების მეშვეობით“.*

ეს, რაც შეეხება რეალურ სამყაროს, რა ხდება ლიტერატურაში, რას სწავლობენ, რა ლიტერატურას ეცნობიან ჩვენი მოზარდები?

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟმა, ავთანდილმა მეფეს დაუტოვა ანდერძი, რომელშიც ცდილობდა დაემტკიცებინა თავისი სიმართლე და წასვლის აუცილებლობა. იგი გვასწავლის, რომ მეგობარი გასაჭირში არ უნდა მივატოვოთ. ავთანდილი მეფის მორჩილია, თუმცა ამ შემთხვევაში მას სხვა გზა აღარ დარჩა, იგი დაუკითხავად უნდა გაიპაროს, რადგან *„სიცრუე და ორპირობა, ავნებს ხორცსა მერმე სულსა“.* რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანმა კეთილი საქმეები უნდა აკეთოს ხორციელ ცხოვრებაში, მისმა სულმა რომ მშვიდად განისვენოს სასუფეველში. ავთანდილი არ იქცევა ულირსად. იგი მეგობრისთვის მიცემულ სიტყვას არ არღვევს და მოღალატე და მატყუარა კაცს გმობს. აკაკი ბაქრაძე შენიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მთელი სიბრძნე ავთანდილის პირით არის გაცხადებული, მაგრამ, როგორც მას რუსთაველი უწოდებს, „ბუნებაზეარსი“ ავთანდილი არც ტყუილის თქმას ერიდება, საჭიროების შემთხვევაში, არც – ადამიანის თვალთვალს, არც – თვალთმაქცობასა და – თვით სატრფოს ღალატსაც კი, და თუ მკითხველი მას პოემის ბოლომდე მაინც მოწონებითა და ემოციური მხარდაჭერით ადევნებს თვალს, ეს იმიტომ, რომ მის კონკრეტულ საქციელს გამართლება აქვს. იმ მიზანს, რომელიც ავთანდილმა დაისახა (ნესტანის პოვნა), ერთი უზენაესი მიზეზი და საფუძველი აქვს, ეს არის – სიყვარული! ხოლო ამ სიყვარულმა, რომელიც მავანის ახირების გამო უსამართლობის მსხვერპლი შეიქნა, ყველა შემთხვევაში უნდა მოიპოვოს გამარჯვება, გამარჯვების დღესასწაულამდე კი სწორედ ავთანდილის პრაქტიკული ჭკუისა და ღვთაებრივი სიბრძნის წყალობით უნდა მიაღწიოს. სიყვარულისათვის ყველა გზა და ხერხი გამართლებულია. სწორედ ამას ქადაგებს „ვეფხისტყაოსანი“ და მკითხველსაც იმიტომ არ უნელდება გრძნობა ავთანდილისადმი ოდნავადაც კი, პირიქით, მის მიერ ჩადენილი ქმედება გმირობად და ვაჟკაცობად ესახება.

ტყუილია თათქარიძეობის არსებობის პრინციპიც. ტყუილზე აგებული არსებობა, პირფერობა და ფარისევლობა, თვალთმაქცობა – ყველა ეს მანკიერი თვისება, ილიას მოთხრობაზე დაყრდნობით, საერთო ეროვნულ მანკიერებად მიაჩნია აკაკი ბაქრაძეს და არა კონკრეტულად გაბატონებული კლასის თვისებად. ზემოჩამოთვლილი ყოველი მანკიერი თვისების საილუსტრაციოდ, აკაკი ბაქრაძე იმ ეპიზოდებს მოიხმობს, რომლებიც თანაბრად წარმოაჩენს როგორც მებატონეთა (ლუარსაბი, დარეჯანი, დავითი, ელისაბედი თუ მოსე გრძელიძე), ისე გლეხობის (ლამაზისეული, მოურავი დათო, გლეხის ქალი ბაბალე, სუტკნეინა, მკითხავი) სულიერსა და ფიზიკურ მანკიერებას. რაც მთავარია, აკაკი ბაქრაძის ნარკვევი „კაცია-ადამიანის?!“ შესახებ – „არაფრობის უარყოფა“ – არ არის მხოლოდ გარდასული ეპოქის ლიტერატურული ქმნილების განხილვა და ანალიზი. იგი მკითხველს მიანიშნებს, რომ ილიას მოთხრობა ყველა დროში ინარჩუნებს აქტუალობას. მისი მეშვეობით თვითონაც აქტუალურ შინაარსს გამოხატავს. კლასიკურ მოთხრობაზე დაყრდნობით, ის თავის თანამედროვეობასაც მოუწოდებს ერის სულში ჩაბუდებული მანკიერების დაძლევისაკენ. ეს აკაკი ბაქრაძის სტილია, მისი, როგორც ლიტერატურათმცოდნისა და კრიტიკოსის თვისება, რომლის წყალობით მკვლევარი ყველა დროში ისევე აქტუალური რჩება, როგორც ის ნაწარმოები, რომლის მეშვეობით ის საკუთარ აზრს, შეხედულებას, პოზიციას გადმოგვცემს. *„სიზარმაცე არ არის ერთფეროვანი მოვლენა. იგი მრავალსახიანია. სიზარმაცის ნაირსახეობა ცრუსაქმიანობა, ცრუაქტიურობაა. ამაში ლუარსაბის თანამეცხედრეს, დარეჯანს, ტოლი არა ჰყავს. ეს ქალი ხშირად ტყუილუბრალოდ გამოვარდებოდა, მოსამსახურეებს დააწიოკებდა. აქაოდა საქმეს ვაკეთებ, დღე და ღამე ჯარასავით ვტრიალებ, უქმად კაციშვილი ვერ მნახავსო“.* აკაკი ბაქრაძე თათქარიძეობის კიდევ ორ თვისებაზე: ტყუილსა და პირფერობაზე ამახვილებს ყურადღებას. თათქარიძეებს რაიმე აუცილებლობა ან შემთხვევითობა არ აიძულებს, რომ იცრუონ. ტყუილია მათი არსებობის პრინციპი. თუ კარგად დავაკვირდებით მოთხრობის სიუჟეტს, იტყუება ყველა: ცრუობს ლუარსაბი, დარეჯანი, ელისაბედი, დავითი, მოსე გრძელიძე, მოურავი დათო, ცრუობენ მკითხავი და სუტკნეინა, ცრუობს გლეხის ქალი ბაბალე, რომლის სახეც სულ ორიოდე წუთით გაიელვებს ნაწარმოების სიუჟეტში, თუმც ამ პასაჟით ილია მკვეთრად გვიხატავს კიდევ ერთი ცრუ და მატყუარა, თვალთმაქცი და პირფერი ადამიანის სახეს. უნებლიეთ იბადება კითხვა – სიზარმაცის, ცრუსაქმიანობის, ტყუილის, თვითკმაყოფილების, კვეხნისა და პირფერობის ატმოსფეროში რა უნდა აკეთოს ადამიანმა? ჭამოს. სხვა აღარაფერი დარჩენია მათ და ლუარსაბიცა და დარეჯანიც ჭამენ. თათქარიძეთა ცხოვრების თვალნათელი სურათის წარმოდგენის შემდეგ რა უნდა მოჰყვეს ასეთ ცხოვრებას, როგორ უნდა გაგრძელდეს იგი? პასუხი ცალსახაა: *„ილია მკაფიო პასუხს იძლევა – სრული უნაყოფობაა ასეთი ცხოვრების დასასრული. რამდენი არ იწვალეს ლუარსაბმა და დარეჯანმა, რამდენი არ ილოცეს, როგორ არ შეაწუხეს ღმერთი, მკითხავსაც კი დაუჯერეს და თელეთის ხატიც მოილოცეს, მაგრამ არ იქნა და არა: არ შეეძინა ლუარსაბს შვილი. ილიას მოთხრობაში ლუარსაბისა და დარეჯანის შვილიერების ხაზს ალეგორიული შინაარსი აქვს. ეს უნაყოფობა ყოველგვარ უნაყოფობას გულისხმობს. ამიტომაც არ გააჩნია ცოლ-ქმარს არავითარი ნიჭი. ერთადერთი, რაც მათ შეუძლიათ, ჭამა და ძილია. არც აკეთებენ სხვას არაფერს“.*

ასევე არიან დავით კლდიაშვილის სხვა პერსონაჟებიც. არაფერი გააჩნია დარისპან ქარსიძეს, მაგრამ პელაგია საბელაშვილს მაინც ატყუებს („დარისპანის გასაჭირი“); ეკვირინე ქამუშაძეც ტყუილით ცდილობს ანუგეშოს რძალი. გაპარტახებული ოჯახი დოვლათითა და ბარაქით სავსედ წარმოუდგინოს („ქამუშაძის გაჭირვება“). ტყუილი სპობს თავმოყვარეობას. დავით კლდიაშვილის შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი პერსონაჟია თავმოყვარეობადაკარგული, ამპარტავანი კაცი. ამპარტავნობა და უთავმოყვარეობა სწრაფად ენაცვლება ერთმანეთს. საკმარისია ტყუილის კოშკი დაინგრეს, რომ ისინი მაშინვე სასოწარკვეთილებას ეძლევიან: *„ნისლივით ქრება ორივე: ამპარტავნებაც და თავმოყვარეობაც“.* როცა სოლომან მორბელაძე გააცუცურაკეს და ურცხვად მოატყუეს (სამაშვლო არ გადაუხადეს), ტრაბახა, გულზვიადი, ამპარტავან აზნაურიდან უცბად გადაიქცა საცოდავ, მშიერ, შესაბრალის კაცად.

ასე რომ, ტყუილი ადამიანს გაჩენის დღიდან, უფრო სწორად, პირველი ცოდვის ჩადენის დღიდან დაებედა. მაცდურმა ევა მოატყუა, ევამ – ადამი. მერე ორივემ, ერთად თუ ცალ-ცალკე, უფლის მოტყუებაც სცადა... ასე მოვდივართ მას შემდეგ ტყუილ-ტყუილით და ლამის ეს მეორე ბუნებად გვექცეს. ადამიანთა უმრავლესობა დღეში ერთხელ მაინც ცრუობს. ათ წუთზე ხანგრძლივი საუბრების მეხუთედი ერთ-ერთი ან ორივე მხარის ტყუილით მთავრდება. პირისპირ შეხვედრის დროსაც, სამიდან ერთ შემთხვევაში, მიზეზს ვპოულობთ, რომ მხოლოდ სიმართლე არ ვთქვათ.

სხვათა შორის, რა უცნაურიც უნდა მოგეჩვენოთ, ფსიქოლოგები ტყუილს ბოლო დრომდე თითქმის არ აქცევდნენ ყურადღებას. ფროიდს სიცრუის შესახებ თითქმის არაფერი დაუწერია, მეოთხედი საუკუნის წინ გამოსულ 1500-გვერდიან „ფსიქოლოგიის ენციკლოპედიაში“ კი ტყუილისთვის სულ ორიოდე აბზაცი გამოიმეტეს. სამაგიეროდ, ბოლო ხანს შეცდომის გამოსწორებას ბეჯითად ცდილობენ და... უფრო და უფრო რთული ფენომენი რჩებათ ხელში. რა უნდა გაითვალისწინოს მშობელმა, როცა მოზარდი აწყდება ტყუილს ყოველ ნაბიჯზე, რეალურ ცხოვრებასა და ლიტერატურაში? მხატვრული ლიტერატურის ტყუილი არაა საშიში, საშიში რეალური ტყუილია, ამიტომ მშობელი უნდა ეცადოს, მეტისმეტად მწვავე რეაქციით არ შეხვდეს ტყუილს. კვლევები აჩვენებს, რომ მკაცრი დასჯით ვერ აღმოიფხვრება ბავშვების მხრიდან ტყუილების თქმა. უპირველეს ყოვლისა, უმჯობესია, მშობელი დაფიქრდეს და ბავშვთან ერთად მშვიდი კომუნიკაციით შეეცადოს ტყუილის მოტივის გამოვლენას, გაითვალისწინოს ბავშვის ასაკის, განვითარებისა და ტყუილის გაცნობიერების დონე, დაანახოს მას ტყუილის გარეშე პრობლემის მოგვარების გზები. უპირველესი „ფორმულა“ არის თავად იყოთ გულწრფელი ბავშვთან. გამოიჩინეთ მეგობრულობა და ეცადეთ, გახდეთ მისი თანატოლი, როდესაც ის ისეთ საკითხებზე იწყებს საუბარს, რომელზე საუბარი არც ისე მარტივია მისთვის. იქნება ეს დაშვებული შეცდომის აღიარება თუ სხვა. ჩაუნერგეთ ბავშვს, რომ გულწრფელობის შემთხვევაში არ იქნებით მკაცრი და მას ნებისმიერ დროს შეუძლია თქვენი იმედი ჰქონდეს. პატარა სიცრუე აუცილებლად მიგიყვანთ დიდ სიცრუემდე. ყველაფერი – როგორც კარგი, ასევე ცუდი – მცირედან იწყება. ტყუილის გარეშეც გამოვალთ სიტუაციიდან. მაგალითად, პასუხად გაეცით „არ ვიცი“ ან გაჩუმდით, ამ შემთხვევაში, დუმილი სიცრუედ არ ითვლება.

**ერმალო ლანჩავა**
*ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგია-ფილოსოფიის დეპარტამენტის სპეციალისტი, ფსიქოლოგი*

**ლია გოგოხია**
*ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მენტორი*

*გამოყენებული ლიტერატურა:*

1. აკაკი ბაქრაძე – (2013) „სკოლას“ (წერილები – „არაფრობის უარყოფა“, „ავთანდილის სახე „ვეფხისტყაოსანში“;
2. ალან პიზი, ბარბარა პიზი – (2016) „სხეულის ენა“, თბილისი, 2016;
3. პოლ ეკმანი – (1989) „რატომ იტყუებიან ბავშვები: როგორ შეუძლიათ მშობლებს ჭეშმარიტების წახალისება“;
4. ემი კადი – ჰარვარდის ფსიქოლოგი: როგორ ამოვიცნოთ მატყუარა? https://bm.ge/ka/article/harvardis-fsiqologi-rogor-amovicnot-matyuara-/1935

უცხოური ამბები

# რას გვასწავლის გერმანიის სკოლების წარმატებით განვლილი გზა



**გერმანიას ათ წელიწადზე მეტი დასჭირდა ტესტების შედეგების გასაუმჯობესებლად და უთანასწორობის დასაძლევად. მათი განათლების რეფორმა, ფაქტობრივად, გაკვეთილია სხვა ქვეყნებისთვის.**

## დიდი შემობრუნება

2000 წელს გერმანიისთვის სამწუხარო რეალობა გამოვლინდა – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კვლევის მიხედვით, სკოლებში, მოსწრებაც შემაშფოთებელი იყო და არც თანაბარი პირობები ჰქონდათ სწავლისთვის. შეფასების საერთაშორისო პროგრამის (Pisa) მოხსენების თანახმად, ქვეყანას საშუალოზე დაბალი მაჩვენებელი აღენიშნებოდა მათემატიკაში, წიგნიერებასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში; გარდა ამისა, დადასტურდა, 23 ქვეყანას შორის, გერმანიაში ყველაზე უთანასწორო პირობები იყო სწავლისთვის.

ეს შედეგები გამაოგნებელი აღმოჩნდა ქვეყნისთვის, რომელიც მძლავრი ლიტერატურული ტრადიციითა და სოციალური თანასწორობის რწმენით ამაყობს. *„გერმანიის სასკოლო სისტემა და მთელი ერი თავზარდაცემული დარჩა 2000 წლის Pisa-ს შედეგებით,* – ამბობს კრისტიან ფიულერი, გერმანელი ჟურნალისტი და განათლების საკითხების კომენტატორი, – *გამოჩნდა, რომ ქვეყანაში ბევრ მოსწავლეს წესიერად კითხვაც არ შეუძლია და მათ „ფუნქციურად უწიგნურები“ დაერქვათ. ამან თითქოს დაანგრია წარმოდგენა გოეთესა და თომას მანის კულტურული ერის – მოაზროვნეთა და პოეტთა ერის თაობაზე.“*

მაგრამ სულ რაღაც 10 წლის შემდეგ, იმავე კვლევის მიხედვით, გერმანიამ დიდ წარმატებას მიაღწია. 2012 წელს, OECD-ს მიმოხილვის თანახმად, გერმანია ერთ-ერთი იყო იმ სამი ქვეყნიდან, რომლებმაც შეამცირეს უთანასწორობა და გააუმჯობესეს მათემატიკის ქულები. „Pisa-ს თავზარდაცემას“ მოჰყვა ის, რასაც ახლა ეძახიან „დიდ შემობრუნებას“ გერმანულ განათლებაში. შეიძლება თუ არა სხვა ქვეყნებს გაკვეთილად გამოადგეთ ეს გამოცდილება?

## სტრუქტურის ცვლილება

მართალია, წარმატებისთვის ზუსტი რეცეპტის გაცემა ძნელია, მაგრამ OECD-ს Pisa-ს ჯგუფის უფროსი ანალიტიკოსი მიაკო იკედა მიიჩნევს, რომ ერთ-ერთი ყველაზე ნიშანდობლივი ცვლილება იყო სტრუქტურული რეფორმა საშუალო სკოლების სისტემაში. 2000 წლის კვლევების შედეგებმა აჩვენა, თუ რა მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური ფონი მოსწრებასთან და დაადასტურა, რომ 10 წლის ასაკის ბავშვების სკოლებში გადანაწილების სისტემა არ ამართლებს. გაცხადდა, რომ უთანასწორობას ამკვიდრებდა ძველი სისტემა, სადაც ბავშვები გადადიოდნენ ან გიმნაზიაში – Gymnasium (აკადემიური სწავლისთვის), ან რეალურ სასწავლებელში – Realschule (შუალედური სწავლისთვის), ან სახალხო სკოლებში – Hauptschule (ნაკლებად აკადემიური სწავლისთვის).

განხორციელდა რამდენიმე ცვლილება – გადაიწია ასაკი, როცა ბავშვებს ანაწილებენ სხვადასხვაგვარ საშუალო სკოლებში, გაერთიანდა Realschule და Hauptschule, გაიზარდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რაოდენობა. ამ ცვლილებებმა დაამსხვრია სეგრეგაცია აკადემიურ ან პროფესიულ გზაზე დამდგარ ბავშვებს შორის, სასწავლო პროცესს მოქნილობა შესძინა და ბევრი სტიგმა გააქრო.

## მეტი მხარდაჭერა მიგრანტებს

პრიორიტეტი მიენიჭა ყველაზე დაბალი მოსწრების ბავშვების დახმარებას. მიაკო იკედას აზრით, წიგნიერებისა და მათემატიკის გაუმჯობესება, დიდწილად, ამ ჯგუფში ცვლილებებს უკავშირდება.

დაბალი მოსწრების მოსწავლეთა უმეტესობა მიგრანტები იყვნენ და სიტუაციის შეცვლის ძირითადი მიზეზი მათი ენობრივი უნარების გაუმჯობესება იყო. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ უცხოელი მოსწავლეების დიდ ნაწილს Hauptschule-ში გერმანული ენის არასრულყოფილი ცოდნის გამო აგზავნიდნენ. მათი თქმით, სუბსიდირებული სკოლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შემოღებით, რომლებიც მოსწავლეებს უნარების მიხედვით არ ჰყოფენ, უზრუნველყოფილია როგორც ენის კარგად შესწავლა, ასევე ინტეგრაციის შესაძლებლობები.

გარდა ამისა, მიგრანტ ოჯახებს ხელს უწყობდნენ, რომ შვილები საბავშვო ბაღში მიეყვანათ. გერმანიაში საბავშვო ბაღი იყო ადგილი, სადაც ბავშვები მხოლოდ თამაშობდნენ, მაგრამ Pisa-ს შედეგებმა დაადასტურა, რომ ეს მნიშვნელოვანი რგოლია განათლების ჯაჭვში.

ექსპერტების აზრით, Pisa-ს შემაშფოთებელ შედეგებს პედაგოგიური რეფორმები და მასწავლებელთა შესაძლებლობების განვითარება მოჰყვა.

## დანაწევრებული სისტემის გაერთიანება

„ძნელია გერმანულ საგანმანათლებლო სისტემაზე ლაპარაკი, რადგან ქვეყნის ყოველ მხარეს საკუთარი სისტემა აქვს,“ – ამბობს სკოლის მასწავლებელი ჯულია დოლერი. იგი აღწერს პოლიტიკისა და რეფორმების სიჭრელეს გერმანიის დეცენტრალიზებულ სტრუქტურაში. Pisa-ს შემდგომი რეფორმებიდან ერთ-ერთი ძირითადი სასწავლო პროგრამების სტანდარტიზაცია და ეროვნული ტესტების შემოღებაა. სკოლის სახელმძღვანელოები, სასწავლო პროგრამა და სწავლება მთლიანად შეიცვალა.

გარდა ამისა, სწავლება უფრო ინტერაქტიური გახდა – გაკვეთილებზე მოიშალა დაზეპირება, რაც დამკვიდრებული იყო დოლერის მოწაფეობისას, 1990-იან წლებში, ბავარიაში. *„2000 წლიდან (Pisa-ს შემდეგ) მეტი ყურადღება ეთმობა კომუნიკაციასა და გუნდურ მუშაობას,* – ამბობს ის, – *სწავლება უფრო ცოცხალია, მეტადაა ორიენტირებული მოსწავლეებსა და მათ ცხოვრებაზე, ციფრული ტექნოლოგიების გავლენასა და გამოყენებაზე.“* მიაკო იკედა კი ამბობს, რომ სწორედ სწავლების ხარისხმა განაპირობა გერმანიის საგანმანათლებლო სისტემის შემობრუნება.

## ზომიერი მონიტორინგი

მონიტორინგის ზომიერად განხორციელებას, შეიძლება, დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს. ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო განსხვავება ბრიტანულ და გერმანულ სასკოლო განათლებას შორის სწორედ მონიტორინგის დონეა. მართალია, ეროვნეული სასწავლო პროგრამები და ტესტები 2000 წელს შემოიღეს, მაგრამ შედეგები არ ქვეყნდება, არ არის სარეიტინგო ცხრილები, ამიტომ სკოლებშიც არ არის განუწყვეტელი შფოთვა რეპუტაციის გამო.

გერმანული გამოცდილების ერთ-ერთი მთავარი გაკვეთილი ის არის, რომ მონიტორინგი არ იყოს მოჭარბებული და არ თრგუნავდეს მასწავლებლების შემოქმედებით უნარებს. გერმანიაში მასწავლებლები და მოსწავლეები სკოლის წარდგენაზე ნაკლებად ზრუნავენ, უფრო განათლების პროცესზე ამახვილებენ ყურადღებას.

## განსხვავებული ფილოსოფია

არსებითად, ბევრი მიიჩნევს, რომ გერმანიის საგანმანათლებლო სისტემაში შემობრუნება წარმატებული აღმოჩნდა. მნიშვნელოვანია, რომ აქ სწავლება უფასოა და ხარისხიანი. *„გერმანიაში სწავლის ფულის გადახდა არ გჭირდება; ამდენად, სტუდენტებს კლიენტებად არ აღიქვამენ,* – ამბობს ნოთინგემის უნივერსიტეტის ლექტორი და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის წარმომადგენელი საშა სტოლჰანსი, – *ბრიტანულ სკოლებში სწორედ ამგვარი ბიზნესდამოკიდებულებაა.“*

ანია ებნიმ განათლება გერმანიაში მიიღო, და ახლა აშშ-ს საგანმანათლებლო სისტემას იკვლევს. მისი აზრით, სხვა ქვეყნებისთვის საინტერესო უნდა იყოს ის, რომ გერმანული სწავლება ფილოსოფიას ემყარება. *„გერმანიაში იციან, რომ ბავშვებს უნდა ვაცალოთ ბავშვობა, სანამ ისინი სწავლობენ,* – ამბობს ებნი, – *მთავარია, ადამიანად ჩამოაყალიბო, ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც გერმანიაში ვაკეთებთ.“*



მოამზადა **ნინო მეტრეველმა**

*„The Gardian“-ში დაბეჭდილი მასალის მიხედვით*

# ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრმა განხორციელებული და მიმდინარე პროექტების ანგარიში წარადგინა

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრმა საქართველოში მოქმედი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე, სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურის წარმომადგენლებს ბოლო პერიოდში განხორციელებული და მიმდინარე პროექტები, მათ შორის, სკოლებში აღდგენითი პროცესების დანერგვასთან დაკავშირებული მიღწევები და გამოწვევები გააცნო.

ონლაინ შეხვედრაში ბავშვთა საკითხებზე მომუშავე 30-ზე მეტი ორგანიზაცია მონაწილეობდა. როგორც მანდატურის სამსახურის უფროსის მოადგილე ნინო შატბერაშვილმა შეხვედრაზე აღნიშნა, ინტენსიურად მიმდინარეობს ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერება და მუშაობის ახალ, უნიფიცირებულ მოდელზე გადასვლა.

სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, დაინერგა მომსახურების გაწევის ერთიანი მიდგომები, კერძოდ, შეიქმნა ფსიქოსოციალური მომსახურების გაწევის წესი და სტანდარტი. ამოქმედდა მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობის პრინციპები, რომელიც ემყარება შემთხვევის შესწავლას, პრევენციული და ინტერვენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას ფსიქოსოციალურ ჭრილში.

საგანმანათლებლო დაწესებულებაში სოციალური მუშაობის კომპონენტის გაძლიერების მიზნით, მანდატურის სამსახურმა, საუკეთესო დასავლური გამოცდილების გათვალისწინებით, შეიმუშავა საგანმანათლებლო სივრცეში სოციალური მუშაობის კონცეფცია. მიმდინარე თვეში, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრს დაემატა კონკურსის გზით შერჩეული 28 კვალიფიციური სოციალური მუშაკი, რომლებიც ცენტრის მიერ დანერგილი ახალი მიდგომებითა და მეთოდებით იმუშავებენ.

შეხვედრის მონაწილეები მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის საპილოტე პროექტის მიმდინარეობასაც გაეცნენ, რომელიც ძალადობისა და ნივთიერებათა ავადმოხმარების პრევენციის გრძელვადიან თანმიმდევრულ პროგრამას ეფუძნება. საპილოტე პროექტი მიზნად ისახავს სასკოლო კლიმატის გაუმჯობესებას და მოსწავლეებში სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას.

უახლოეს მომავალში მანდატურის სამსახური საპილოტე სკოლებში სასკოლო მედიაციის მექანიზმის დანერგვას დაიწყებს, რაც საგანმანათლებლო დაწესებულებაში აღდგენითი პროცესების, სასკოლო კონფლიქტებზე რეაგირების და მათი კონსტრუქციული გზით გადაჭრის საუკეთესო მექანიზმია.

მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ორგანიზებით, მსგავსი შეხვედრები საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორთან სისტემატურად იმართება.

# რა უნდა ვიცოდეთ COVID-19-ის ვაქცინების შესახებ

**COVID-19 ვაქცინების შესახებ ყველაზე ხშირად დასმულ შეკითხვებზე პასუხს გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ მომზადებულ სტატიაში მიიღებთ, სადაც თავმოყრილია ექსპერტთა მიერ მიწოდებული უახლესი ინფორმაცია.**

## ☑ რა არის COVAX-ის პლატფორმა?

COVAX-ის პლატფორმა გლობალური ძალისხმევაა, რომელიც მიზნად ისახავს COVID-19-ის ვაქცინების შემუშავებისა და წარმოების დაჩქარებას და, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მისი სამართლიანი და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. არც ერთი ქვეყანა არ იქნება COVID-19-ისგან დაცული მანამ, სანამ ყველა ქვეყანა არ იქნება დაცული.

COVAX-ის პლატფორმაში ჩართულია 190 ქვეყანა და ტერიტორიული ერთეული, რაც მსოფლიოს მთელი მოსახლეობის 90 პროცენტს შეადგენს. მუშაობს რა ეპიდემიისთვის მზადყოფნის ინოვაციების კოალიციასთან (CEPI), ვაქცინების გლობალურ ალიანსთან (GAVI), ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან (WHO) და სხვა პარტნიორებთან ერთად, გაეროს ბავშვთა ფონდი, COVAX-ის სახელით, COVID-19-ის ვაქცინების შეძენისა და მიწოდების ღონისძიებებს ხელმძღვანელობს.

## ☑ ინტერნეტში COVID-19-ის ვაქცინების შესახებ არაზუსტ ინფორმაციას წავაწყდი. როგორ მოვიქცე?

სამწუხაროდ, ინტერნეტში უამრავი არაზუსტი ინფორმაცია არსებობს COVID-19 ვირუსის და ვაქცინების შესახებ. ჯანმრთელობის კრიზისის დროს დეზინფორმაციამ შეიძლება პარანოია, შიში და სტიგმატიზაცია გამოიწვიოს. ასევე, შეუძლია ადამიანი ვირუსის მიმართ დაუცველი ან უფრო მეტად მოწყვლადი გახადოს. მიიღეთ გადამოწმებული ინფორმაცია და რჩევები სანდო წყაროებიდან, როგორიცაა თქვენი ადგილობრივი სამედიცინო ორგანო, გაერო, გაეროს ბავშვთა ფონდი, გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოში და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია.

თუ თქვენ ინტერნეტში ისეთი შინაარსის პუბლიკაციას გადააწყდებით, რომელიც თქვენი აზრით ყალბი ან შეცდომაში შემყვანია, შეგიძლიათ მისი გავრცელება შეაჩეროთ, თუ ამის შესახებ სოციალური მედიის პლატფორმას აცნობებთ.

## ☑ მოქმედებს თუ არა COVID-19-ის ვაქცინები დნმ-ზე?

არა, COVID-19-ის არც ერთი ვაქცინა არანაირ გავლენას არ ახდენს თქვენს დნმ-ზე. მესენჯერი RNA ან mRNA ვაქცინები ასწავლის უჯრედებს თუ როგორ უნდა შექმნან ცილა, რომელიც სხეულში იმუნურ რეაქციას იწვევს. ამ რეაქციის დროს წარმოიქმნება ანტისხეულები, რომლებიც ვირუსისგან გიცავთ. mRNA განსხვავდება დნმ-ისგან და უჯრედის შიგნით მხოლოდ დაშლამდე რჩება, დაახლოებით, 72 საათის განმავლობაში. ამასთან, ის არასდროს შედის უჯრედის ბირთვში, სადაც დნმ ინახება.

## ☑ შეიცავს თუ არა COVID-19-ის ვაქცინები ცხოველურ პროდუქტებს?

არა, COVID-19-ის არცერთი ვაქცინა, რომელიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ არის დამტკიცებული, ცხოველურ პროდუქტებს არ შეიცავს.

## ☑ როგორ შემიძლია დავიცვა ჩემი ოჯახი COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის მიღებამდე?

უსაფრთხო და ეფექტური ვაქცინები მდგომარეობას ძირეულად ცვლიან, მაგრამ ჯერჯერობით უცნობია, თუ რა დონეზე შეუძლიათ მათ დაგიცვან ინფექციისგან და მისი გადაცემისაგან. ამ ეტაპზე, აცრის გაკეთების შემდეგაც კი, ჩვენ კვლავ უნდა გავაგრძელოთ სიფრთხილის ზომების მიღება საკუთარი თავისა და გარშემო მყოფი პირების დასაცავად. ეს გულისხმობს პირბადეების ტარებას, ფიზიკური დისტანციის დაცვას და ხელების რეგულარულ დაბანას.

## ☑ როგორ მოხერხდა COVID-19-ის ვაქცინების შემუშავება ასე სწრაფად?

კვლევასა და განვითარებაში ჩადებული უპრეცედენტო ინვესტიციებისა და გლობალური თანამშრომლობის შედეგად, მეცნიერებმა COVID-19-ის წინააღმდეგ უსაფრთხო და ეფექტური ვაქცინების შემუშავება რეკორდულ დროში მოახერხეს. ამ პროცესში დაცული იყო უსაფრთხოების ყველა სტანდარტული პროცედურა და მკაცრი მარეგულირებელი სტანდარტები.

უაღრესად იმედისმომცემია ის, რომ COVID-19-ის იმ ვაქცინების გარდა, რომლებიც ამჟამად მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გამოიყენება, არსებობს შემუშავების სხვადასხვა სტადიაზე მყოფი 200-ზე მეტი „კანდიდატი“ ვაქცინა. ამათგან რამდენიმე კლინიკური კვლევების მე-3 ფაზაშია (ვაქცინის დამტკიცების ბოლო ეტაპზე).

## ☑ ვინ უნდა აიცრას პირველ რიგში?

იმის გამო, რომ 2021 წელს, გლობალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ვაქცინების საკმარისი ოდენობის წარმოების შესაძლებლობები არ არის, ერთდროულად, ყველა ადამიანის აცრა შეუძლებელია. ქვეყნებმა უნდა გამოავლინონ მოსახლეობის პრიორიტეტული ჯგუფები, რომლებსაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია უწევს რეკომენდაციას. ესენი არიან წინა ხაზზე მომუშავე სამედიცინო პერსონალი (ჯანდაცვის სისტემების დასაცავად) და COVID-19-ის შედეგად გარდაცვალების ყველაზე მაღალი რისკის მქონე პირები, მაგალითად, ხანდაზმულები და გარკვეული სამედიცინო პრობლემების მქონე პირები. ამის შემდეგ პრიორიტეტი უნდა მიეცეს კრიტიკული მნიშვნელობის სხვა სფეროებში მომუშავე პირებს (მაგალითად, მასწავლებლებს და სოციალურ მუშაკებს). როდესაც ვაქცინების მეტი დოზები გახდება ხელმისაწვდომი, მოსახლეობის ამ ჯგუფებს სხვა ჯგუფებიც დაემატება.

## ☑ ახდენს თუ არა COVID-19-ის ვაქცინა ზემოქმედებას ფერტილურობაზე?

არა, არ ახდენს. სოციალურ ქსელში თქვენ შეიძლება წაკითხული გქონდეთ ასეთი მცდარი შეხედულებების შესახებ, მაგრამ არ არსებობს მტკიცებულება, რომ რომელიმე ვაქცინამ, მათ შორის COVID-19-ის ვაქცინებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ქალებისა და მამაკაცების ფერტილურობაზე. თუ თქვენ ამჟამად დაორსულებას ცდილობთ, არ არის იმის საჭიროება, რომ ორსულობას მოერიდოთ COVID-19 აცრის შემდეგ.



**გაეროს ბავშვთა ფონდი – სტატია გამოქვეყნდა 2020 წლის 28 ოქტომბერს და განახლდა 2021 წლის 6 აპრილს.**





გამომცემლობა „ახალი განათლება“ გთავაზობთ

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

სიახლე
მარტიდან




მასწავლებლის გამოცდებისთვის
ფასი — 27 ლარი

წიგნში თავმოყრილია I-IV კლასების მასწავლებელთა კომბინირებული საგამოცდო მასალა, კითხვა-პასუხის და ტესტების სახით

ფასი — 17 ლარი

ტექსტის გააზრება

15 ლარი

სწავლების ინტერაქტიური მეთოდები

ქართული (I-VI) მასწავლებელთა გამოცდებისთვის

პროფესიული უნარები თეორიული მასალა

პროფესიული უნარები ტესტები




10 ლარი 11 ლარი 15 ლარი 15 ლარი

წიგნის თარო

ტესტები ქართულ ლიტერატურაში ეროვნული გამოცდისათვის



წიგნი I
V-XVIII სს მწერლობა
წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი III
XX საუკუნის მწერლობა
თითო ტომის ფასი – 13 ლარი


ახალი განათლება

შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
მისამართი: აკაკი წერეთლის გამზ. №126, თბილისი 0119
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქტორი:
ლალი ჯელაძე

იბეჭდება სტამბა „კოლორში“ კოლორ ჯგუფი მისამართი ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის №3

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 2 ლარი